www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 20 ივლისი, 2012 წელი. | №3069 (162) | ფასი 50 თეთრი

ნაომარი თელავი

მაგდა ლეკიაშვილი

ნაომარ ქალაქს დამსგავსებული თელავი დღის განმავლობაში სამხედროებით გაივსო. კახეთისთვის სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის პროცესში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ჩაერთო. თელავში 1300 რეზერვისტი გადაიყვანეს. სტიქიის ზონაში საინჟინრო ბატალიონიც მუშაობს. სამხედროები მოსახლეობას აქტიურად ეხმარებიან. ამ დრომდე შეზღუდულია ელექტროენერგიის მიწოდება. შეფერხებით მუშაობენ ბანკები.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

სწორად შერჩეული მომენტი

"მეეჭვება, დასავლეთს ივანიშვილი რაიმე სერიოზული მნიშვნელობისა და ღირებულების ფიგურად ესახებოდეს"

*საფრანგეთში ორგანიზაცია **"ქარტია 2010"**-ის ერთ-ერთ დამფუძნებელს, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს დეპუტატს, **მედეა თუშმალიშვილს** ვთხოვეთ, თავისი ორგანიზაციის სახელით, გაეზიარებინა შეხედულებები საქართველოში მომხდარ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, ესაუბრა წინასაარჩევნო ვითარებაზე და გამოეთქვა აზრი საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის მოქმედების მნიშვნელობაზე.*

- ამ უკანასკნელ ხანს ქართულ პოლიტიკურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამ, შესაბამისად, აზრთა სხვადასხვაობაცაა. როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის ამ ინიციატივას?

- ვანო მერაბიშვილის დანიშვნა პრემიერ-მინისტრად თითქოს არც იყო მოულოდნელი - ჰაერში ტრიალებდა ეს იდეა, მაგრამ პრეზიდენტის მიერ შერჩეული მომენტი ახალი პრემიერის დანიშვნისა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მიხეილ სააკაშვილი პროფესიონალი პოლიტიკოსია, რომელიც ზედმიწევნით ფლობს შესაძლებლობების გამოყენების ტექნოლოგიას.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მოსკოვი-პეკინის ვეტო რეზოლუციაზე

სირიაში სისხლისღვრა გრძელდება

ხათუნა გაბიევი

ოპერაცია დამასკოს ვულკანი - ასადის რეჟიმისთვის გამოცხადებული ქიში და შამათამდე დარჩენილი დროის უცნობი ინტერვალი; სირიის მთავრობის ძალოვანი მაღალჩინოსნების ლიკვიდაცია ასადის რეჟიმის დასასრულის დასაწყისია, ასე აფასებენ დასავლელი ექსპერტები სირიაში განვითარებულ მოვლენებს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ბათუმში ჯაზი დაიწყო

დღეს ჯონ სკოფილდისა და DJ TABOO-ს კონცერტი გაიმართება

ია ვეკუა
ბათუმიდან

ბონ-ბონ-ბონ დუბი-დუ - გაისმა გუშინ ბათუმში, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ შავი ზღვის მეექვსე ჯაზფესტივალი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, სცენაზე კი ლარი გრეჰემის ბასის აკორდებმა გაიელვა. მანამდე კი ბათუმის კორტებიდან ბიტბოქსერ Butterscotch-ის უნიკალური მუზიცირება ისმოდა, რომელმაც ჯაზფესტივალის სტუმრებს აქამდე არნახული კონცერტი შესთავაზა. მოკლედ, ბათუმში ჯაზი დუღს, წინ კი ისეთი კონცერტები გველის, თუ ჯერ კიდევ არ გადაგიწყვიტავთ, გირჩევთ, დროულად მოაშუროთ ამ ზღვისპირა ქალაქს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე



1 აშშ დოლარი	1.6425⇓
1 ევრო	2.0186⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5677⇓
1 თურქული ლირა	0.9073⇓
100 რუსული რუბლი	5.0545⇓

თბილისი	31°C - 21°C
ქუთაისი	31°C - 19°C
თელავი	32°C - 17°C
ზუგდიდი	30°C - 18°C
ბათუმი	28°C - 18°C

ნავთობი	2.88	+0.03	+1.18%
გაზი	2.97	+0.17	+5.76%
ოქრო	1,573.40	-16.10	-1.02%
ხორბალი	895.00	+10.00	+1.12%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

"მეტალურგი" კლასთან შერცხვა, "დილამ" გამოანათა

სოსო კოტორეიშვილი

ჩეხური "პლზენი" რომ ფავორიტად მიიჩნეოდა, ამას მატჩის წინ რუსთაველთა მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილიც ამბობდა, მაგრამ მეტალურგთა თავკაცმა ისიც თქვა, რომ მისი ფეხბურთელები უბრძოლველად არაფერს დათმობდნენ და შანსი, მით უფრო, საშინაო შეხვედრაში მის გუნდსაც ჰქონდა.

"მიხეილ მესხის" სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა კი სულ სხვა სურათი იხილა - პირველი წუთიდან მოყოლებული ბურთის და მოედნის სრული ბატონ-პატრონები სტუმართა გუნდის ფეხბურთელები იყვნენ. გააზრებული კომბინაციები, განაპირა მცველების შეტევებში ჩართვა და ეს ყველაფერი სწრაფად, ორგანიზებულად და გრიგოლ ბედიაშვილის კართან უკვე მე-7 წუთზე შეიქმნა საგოლე მომენტი, თუმცა მასპინძელთა მეკარემ შეძლო გუნდის გადარჩენა. მალევე ჩეხთა მრავალსვლიანი კომბინაცია გოლით დასრულდა, "პლზენის" კაპიტანი, ვეტერანი პაველ ჰორვატის საჯარიმოს ხაზიდან დარტყმული ბურთი რუსთაველთა მცველს მოხვდა და ასე აღმოჩნდა ბედიაშვილის კარში.

შანსი "მეტალურგს" მართლაც მიეცა - ჩეხი მცველების დაუდევრობით დიმიტრი ტატანაშვილმა ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ანგარიში გაათანაბრა. სტუმრებმა მასპინძლებს გახარება არ აცალეს - ოთხ წუთში მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთზე უხეიროდ გამოსულ ბედიაშვილს კოლარმა დაასწრო და ზუსტი თავურით კვლავ თავისიანები დააწინაურა.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

ნაომარივით თელავი

პირველი გვერდიდან

Nino ugar

გუშინ, დაახლოებით, 18-მდე ადამიანი საავადმყოფოში სხვადასხვა დაზიანებებით მიიყვანეს, თუმცა ამ მომენტისთვის სტაციონარში მძიმე ავადმყოფი აღარ რჩება. სპეციალისტთა განცხადებით, ძლიერი სეტყვა დღისით რომ მოსულიყო, გაცილებით მეტი ადამიანი დაშავდებოდა.

თელავი სტიქიის ეპიცენტრი იყო. ადგილობრივები ყვებიან, რომ გამთენიისას, დაახლოებით, 4:30 საათზე დაწყებული წვიმა და სეტყვა ისეთი ძლიერი იყო, სახლები დატბორა, შენობებს სახურავები გადახადა და ფანჯრის მინები ჩალეწა. შემთხვევის ადგილზე ჩასულებს მოსახლეობა ქუჩაში დაგვხვდა. თავად დაგვათვალიერებინეს სახლები იმ იმედით, რომ მათ ამბავს ბევრი ადამიანი შეიტყობდა და დახმარებასაც გაუწევდა. ვითარება რთულია - ცარიელი კედლები, დამტვრეული ავეჯი და სველი ლოგინი. ხილი, ბოსტნეული, ყურძნის მტევნები მიწაზე ყრია. დაზარალებულები ყვებიან, რომ ატმის მოსავალი დღედღეზე უნდა აეღოთ, თუმცა ახლა მოსავლის გარეშე დარჩნენ, გადასახადი კი დიდი აქვთ. ზოგიერთმა ბანკიდან კრედიტი გამოიტანა ვენახის მოსავლელად და ახლა აღარ იცის, როგორ გადაიხადოს. ახალგაზრდა მამაკაცი გვიყვება, რომ ვენახის ნაწილი მთლიანად გადასაჭრელია, მიწა მოსახნავი და ვაზიც ახლიდან დასარგავი. ამის შემდეგ კი ახალი მოსავლის მოყვანას 5-7 წელი სჭირდება. სოფლის მოსახლეობა შიშობს, რომ შესაძლოა, შიმშილის ზღვარზე აღმოჩდნენ, რადგან მოსავალი და სავარგულები განადგურდა. დაზარალებულები დახმარებას გამგეობას სთხოვენ.

თელავის ცენტრში ყურადღებას იქცევს საცხოვრებელი სახლის შენობა, რომლის ორი სართული ჩამონგრეულია. როგორც დაზარალებული ყურაშვილების ოჯახი ამბობს, ჩვენს ბინაში სეტყვამ და წყალმა აივნიდან შემოხეთქა და სამზარეულოს კედელი გადმოანგრიაო. სამზარეულოდან საყოფაცხოვრებო ნივთები ეზოში ჩაცვივდა. სწორედ ამ დროს ჩაქრა შუქი და ოჯახის წევრებმა, ფაქტობრივად, ვეღარაფერი მოახერხეს. როგორც დაზარალებული ამბობს, მათთან დილით საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები მივიდნენ და დახმარებას დაჰპირდნენ. ისინი დაზარალებულთა შესახებ გამგეობის წარმომადგენლებს აცნობებენ, რომლებიც, თავის მხრივ, დახმარებას გაუწევენ.

გუშინ დილიდან თელავის გამგეობაში სპეციალური ჯგუფი მუშაობდა, რომლის წევრებიც დაზარალებულების ზარებს და შეკითხვებს პასუხობდნენ. რეგისტრატორები მოქალაქეების პრობლემებს ინიშნავდნენ, შემდეგ კი ამ მისამართებზე შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებს აგზავნიდნენ. კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი «24 საათთან" საუბრისას ამბობს, რომ არც ერთი მოქალაქე არ დარჩება ღია ცის ქვეშ. ზარალის დათვლა ხელისუფლებამ უკვე დაიწყო და კონკრეტული ციფრები უახლოეს დღეებში დასახელდება. სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობაზე მთავრობა როგორც სასურსათო, ისე ფინანსური კომპენსაციების გაცემას გეგმავს. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ზარალი სრულად აუნაზღაურდებათ სოციალურად დაუცველებს. დაზარალებული სოფლები სიმძიმის მიხედვით დაიყოფა და კომპენსაციაც შესაბამისად განისაზღვრება. უახლოეს ოთხ დღეში სრულად აღდგება ელექტროენერგიის მიწოდებაც.

თელავში გუშინ საქართველოს პირველმა პირმა მთავრობის სხდომა ჩაატარა. მიხეილ სააკაშვილმა მინისტრთა კაბინეტს სტიქიის შედეგებთან საბრძოლველად საგანგებო შტაბის შექმნა დაავალა. პრეზიდენტის თქმით, შტაბი ფორმალურად არ უნდა შეიქმნას და მისმა წევრმა მინისტრებმა კახეთიდან გაუსვლელად, ზარალის დაზუსტებაზე უნდა იმუშაონ.

"უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დავუშვათ, რომ ვინმე უსახლკაროდ იყოს და ღია ცის ქვეშ გაათენოს. უახლოეს საათებში უნდა გავწმინდოთ ქუჩები, გავიტანოთ ამოძირკვული ხეები და მოგლეჯილი ბოძები, მოვაწესრიგოთ აყრილი ასფალტი. მოვახდინეთ რეზერვისტების კადრირებული ბრიგადის მობილიზაცია და ამაზე პასუხისმგებელია დიმიტრი შაშკინი. რეზერვისტები, მანქანები და ტექნიკა ყველგან უნდა მივიდეს. თავდაცვაში რაც კი გადამზიდავი ტექნიკა გაქვთ, ყველაფრით აქაურ ხალხს დავეხმაროთ," - ამბობს პრეზიდენტი.

წინასწარი მონაცემებით, თელავში ქარმა სახურავი 770 სახლს გადახადა, დაზიანებულია წყლის სათავე ნაგებობა, აყრილია ასფალტი და წაქცეულია ელექტროგადამცემი ბოძები. წნორში დაზიანებულია შიდა საუბნო გზები, იორმუღანლოში განადგურებულია კომუნიკაციები. ლაგოდეხის, ლელიანის, არეშფერათის და გიორგეთის 80 პროცენტი დაისეტყვა. გურჯაანის სოფლები - ვაჩნაძიანი, კალაური, შაშიანი, ვაზისუბანი, ველისციხე მთლიანად დასეტყვილია. სახურავების გარეშე დარჩა სახლები, კალაურსა და ვაჩნაძიანში კი სკოლებიც. ასეთია სტიქიის შედეგი, რომელიც პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტს გააცნო. კახეთის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილის თქმით, კახეთში სტიქიას მხოლოდ დედოფლისწყაროს რაიონი გადაურჩა.

ქვეყნის პირველი პირი დაზარალებული მოსახლეობისთვის საბანკო კრედიტების რესტრუქტურიზაციის ინიციატივითაც გამოდის. მიხეილ სააკაშვილის თქმით, დაუშვებელია დაზარალებულებს კრედიტის პრობლემაც დაემატოთ.

"სიტუაცია იმაზე მეტად დრამატულია, ვიდრე წარმოგვედგინა. სახლების ნახევარზე მეტი სახურავის გარეშეა დარჩენილი, განადგურდა ხეხილის ბაღები, აღარ არის ყურძენი. მთელი შრომა და ინვესტიცია ქარმა და სეტყვამ წაიღო, ხალხი კი საკრედიტო ვალებით დარჩა," - განაცხადა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ცივილიზებულ ქვეყანაში კრედიტები დაზღვეული უნდა იყოს, რაც მოსავლის დაზღვევას გულისხმობს.

საგანგებო შტაბს, რომელმაც მუშაობა უკვე დაიწყო, პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობს. წუხელ ქვეყნის პირველი პირი და მთავრობის წევრები კახეთში დარჩნენ.

პრინციპების ჩამონათვალი ფართოვდება

დავით ბაქრაძემ პოლიტიკურ პარტიებს არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებასთან მიერთება შესთავაზა

დათო გამისონია

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახელით, ყველა პარტიას მიმართა, რომ გასულ კვირას გამოქვეყნებულ დეკლარაციასთან ერთად, დათანხმდნენ და მიიღონ ყველა ის პრინციპი, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოამზადეს. როგორც ბაქრაძე ამბობს, ამ მიზნით პოლიტიკური პარტიების დეკლარაციას მე-5 პუნქტი ემატება: «ვუერთდებით და მხარს ვუჭერთ 16 ივლისს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სამართლიანი, კონკურენტული და მშვიდობიანი საარჩევნო პროცესის ხელშეწყობის მიზნით შემოთავაზებულ პრინციპებს."

ის პრინციპები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა შემოგვთავაზეს, ნამდვილად მნიშვნელოვანია და მათი ცხოვრებაში გატარება დაგვეხმარება, რომ საარჩევნო გარემო უფრო დაცული და უფრო თავისუფალი იყოს," - მიიჩნევს პარლამენტის თავმჯდომარე.

კამპანიის "ეს შენ გეხება" ფარგლებში ჩამოყალიბებული პრინციპები 20-მდე საკითხს მოიცავს. არასამთავრობო ორგანიზაციები პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებენ: საკუთარ მომხრეთა მხრიდან აგრესიული და დესტრუქციული ქმედებები არ წაახალისონ; დაგეგმილი პარტიული ღონისძიებების შესახებ საზოგადოებას და შესაბამის სამსახურებს ინფორმაცია წინასწარ მიაწოდონ; მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობაში არ ჩაერიონ და მათი დისკრედიტაციის მცდელობა არ ჰქონდეთ; ამომრჩევლები არ მოისყიდონ; ადმინისტრაციული, მათ შორის საბიუჯეტო რესურსები ბოროტად არ გამოიყენონ; პარტიებმა თემატურ პოლიტიკურ დებატებზე მაქსიმალური აქცენტირებით ხელი შეუწყონ მაღალი პოლიტიკური კულტურის დანერგვას და ამით საზოგადოებას ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობა მისცენ; არჩევნების დღეს ძალადობის და აგრესიის წახალისება, მათ შორის, მომხრეების წინასწარი მობილიზება არ დაუშვან; საკუთარ ღონისძიებებზე ყველა მედიასაშუალებისთვის თანაბარი სამუშაო პირობები უზრუნველყონ და ჟურნალისტების საქმიანობისთვის ხელშეშლა არ დაუშვან; კამპანიის მიზნებისთვის ან საზოგადოების დეზინფორმირებისთვის მედიასაშუალებები ბოროტად არ გამოიყენონ; ხელი შეუწყონ მედიასაშუალებებს შორის არსებული დაპირისპირების და დაძაბულობის განმუხტვას.

სამოქალაქო სექტორს შეთავაზებები, პარტიების გარდა, უშუალოდ სახელმწიფო უწყებების მიმართაც აქვს. არასამთავრობო ორგანიზაციათა აზრით, შეთანხმების საგანი უნდა გახდეს შემდეგი პრინციპები: სახელმწიფო სტრუქტურებმა მხოლოდ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის სრული დაცვით იმოქმედონ; სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების მიმართ თანაბარი და სამართლიანი მიდგომა უზრუნველყონ; შერჩევითი მართლმსაჯულება ან დისკრიმინაციული მიდგომა არ დაუშვან.

განცხადებაში ცალკეა გამოყოფილი სახელმწიფო აუდიტის სამსახური (ყოფილი კონტროლის პალატა), რომელმაც კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციები, განცხადების თანახმად, ცალკეული პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის დისკრიმინაციულად შეზღუდვის გარეშე უნდა განახორციელოს. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და საგამოძიებო ორგანოებმა მეტი აქცენტი გააკეთონ დარღვევების პრევენციაზე, ვიდრე დამრღვევთა დასჯაზე; გარდა ამისა, განცხადებაში მიუთითებენ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პარტიებთან წინასწარი კონსულტაციები უნდა გამართონ, რათა მათ დაფინანსების მიღებისას კანონი დაიცვან. ამასთან, სახელმწიფო უწყებებს მოუწოდებენ, რომ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის მცდელობები არ ჰქონდეთ და რეგისტრირებულ მედიასაშუალებებს თანაბარი პირობები შეუქმნან. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, სახელმწიფო უწყებებმა ყველა შესაძლო და კანონიერი ფორმით უნდა უზრუნველყონ საზოგადოებისთვის მრავალფეროვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ეს არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში სხვადასხვა ტელეარხების შეუზღუდავად მიწოდებას გულისხმობს.

როგორც დავით ბაქრაძე ამბობს, **"მმართველი პარტია ამ მაღალი სტანდარტის დოკუმენტზე იმ პარტიების გამოხმაურებას დაელოდება, რომელთა ინტერესშიც ნამდვილად შედის დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და არა არჩევნების საბაბით რაიმე სხვა პროცესების პროვოცირება."**

არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, დავით ბაქრაძე საქართველოში აკრედიტებული ელჩების წინადადებასაც მიესალმება. დიპლომატები არჩევნების შემდეგ "მასთ ქერის" პრინციპის გაგრძელების საკითხს აყენებდნენ. ბაქრაძემ უკვე მეორედ აღნიშნა, რომ ყველა საკაბელო ოპერატორს და სატელევიზიო არხს, რომლებიც არჩევნების შემდეგაც თანამშრომლობას ამ შეთანხმებით მიღწეული პირობებით გააგრძელებენ, სახელმწიფო ხელს შეუწყობს და წაახალისებს.

სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

ლიცენზირებული რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი"

გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.

მომსახურების საფასური 17 ლარიდან.

თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ.ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

სწორად შერჩეული მომენტი

პირველი გვერდიდან

- ე.ი. ქარტია 2010 მიესალმება ამ გადაწყვეტილებას...

- საქმე ის არის, რომ ვანო მერაბიშვილი სწორედ ის პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც სჭირდება აღმასრულებელ ხელისუფლებას - მას აქვს ხალხის ნდობის მანდატი, იშვიათი შრომის უნარი და სტრატეგიული ხედვა.

- პრემიერ-მინისტრმა საკმაოდ ამბიციური სამოქმედო გეგმა წარადგინა, რომლის დიდი ნაწილი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას ეხება, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე გაამახვილა. მოგწონთ მისი სტრატეგიული გეგმა?

- რა თქმა უნდა, უმუშევრობა სერიოზული პრობლემაა, ისე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის. რომ გადავხედოთ წინასაარჩევნო პროგრამებს, ისეთი მდიდარი ქვეყნებისთვის, როგორებიც არიან, მაგალითად, საფრანგეთი, ამერიკა, მთავარი საკითხი უმუშევრობა და ეკონომიკური კრიზისია. ახლად არჩეულმა საფრანგეთის პრეზიდენტმა, ფრანსუა ოლანდმაც, ძირითადად, აქცენტი გააკეთა უმუშევრობაზე.

საქართველოში უკანასკნელ წლებში გატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები. ვიმედოვნებთ, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი ჩვეული დინამიზმით შეძლებს სოციალური ფონის გაუმჯობესებასაც.

- ჩვენ სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც გვაქვს, უმუშევრობის გარდა...

- ჩვენი უმთავრესი პრობლემა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთის მუდმივი სამხედრო თუ პოლიტიკური აგრესიაა. ჩვენ მრავალგზის აღვნიშნეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია მოხდა 1993 წელს, როდესაც რუსეთმა ე.წ. "სამშვიდობო" ჯარი ჩააყენა ამ რეგიონში. ედუარდ შევარდნაძემ, სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს, რითაც რუსული ჯარის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე ლეგიტიმურად ცნო. ეს ისტორიული ფაქტია და ვერ შეიცვლება პოლიტიკური სიმპათიებისა თუ ანტიპათიების კარნახით. ფაქტობრივად, იმ დღიდან საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ამ რეგიონში არ ვრცელდება.

- ოპოზიცია მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაცია 2008 წლის აგვისტოს ომის

შედეგია. ბიძინა ივანიშვილი, უფრო ადრე კი სალომე ზურაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე და სხვანი, ბრალს სდებდნენ მიხეილ სააკაშვილს ცხინვალში სამხედრო ოპერაციის დაწყების გამო. ეს ბრალდებები განსაკუთრებით დღეს გაისმის ივანიშვილის კოალიციის წარმომადგენელთა მხრიდან.

- სამწუხარო ფაქტია, რომ ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი და ასეთი, როგორც ჩანს, ბევრია, ვერ ანსხვავებს ოპოზიციურ ბრძოლას ქვეყნის ინტერესების ღალატისგან. რუსეთის ყურის საამებლად ნათქვამი ფრაზა "სააკაშვილი თავს დაესხა მძინარე ცხინვალს", გარდა შინაარსობლივი აბსურდულობისა, ქვეყნის ისეთი მძიმე ღალატია, რომელსაც არც ახსნა აქვს და არც - პატიება.

საბედნიეროდ, ოპოზიციაში არიან ცალკეული პოლიტიკოსები, რომლებმაც არ იკადრეს ქვეყნის ღალატი რუსეთში პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად. როგორც ჩანს, ეროვნული ინტერესი მათთვის უფრო ღირებული აღმოჩნდა. ვფიქრობ, მომავალში ყველა ჭეშმარიტად ეროვნული ძალა გაერთიანდება.

რადგან ახლოვდება 2008 წლის ომის დაწყების თარიღი და თქვენ ამ მტკივნეულ თემას შეეხეთ, მოდით გავიხსენოთ რამდენიმე ფაქტი, რომელიც წინ უსწრებდა ქართული ჯარის შესვლას ცხინვალში:

28 ივლისს, როდესაც დაიწყო ცხინვალიდან ინტენსიური სროლა, სწორედ იმ დღეს ცხინვალში ჩავიდნენ რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, არმიის გენერალი პანკოვი, და 58-ე არმიის მეთაური, ანატოლი ხრულოვი;

3 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში შევიდა 42-ე დივიზიის მზვერავი ბატალიონი;

4 აგვისტოს - რუსეთის 58-ე არმიის სამედიცინო და კავშირგაბმულობის ნაწილები;

5 აგვისტოს როკის გვირაბიდან შემოვიდა 33-ე საჰაერო-სადესანტო ბრიგადა;

6 აგვისტოს ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა დაბანაკდა ჯავაში და ბოლოს;

7 აგვისტოს, დილის ოთხ საათზე, როკის გვირაბიდან შემოვიდნენ სატანკო ბრიგადები.

საქართველოს პრეზიდენტი იდგა არჩევანის წინაშე: ან ჯარი უნდა შესულიყო ცხინვალში და შეეჩერებინა რუსეთის არმიის წინსვლა, ან გაეცა ბრძანება, გაეთხარათ სანგრები თბილისის მისადგომებთან, დედაქალაქის დასაცავად.

- ეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ რუსეთმა ომი დაიწყო საქართველოს ხელისუფლების შეცვლის მიზნით.

- რა თქმა უნდა, რუსეთის მიზანი იყო ხელისუფლების შეცვლა და არა ისედაც ოკუპირებული ტერიტორიის ოკუპაცია. რომ არა დასავლეთის რეაგირება, რუსეთის ჯარი უეჭველად შემოვიდოდა თბილისში. აგვისტოს ომი საქართველოს ტრაგედიაა, რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვანი ურთიერთობების კიდევ ერთი საზარელი ეპიზოდი და ამ კონტექსტში "ქართული ოცნების" მიერ ჩატარებული აქცია კარალეთში, შეძახილებით: "მე არ მაინტერესებს, ვინ დაიწყო ომი" და მსგავსი ამისა, ვინ იცის, იქნებ უფრო ტრაგიკულია საქართველოსთვის, ვიდრე მისი ჩრდილოელი მეზობლის ვერაგი ზრახვები.

- არც სხვა პრეზიდენტებს წყალობდა რუსეთი...

- არც ერთს და არც ერთ ეპოქაში. მახსოვს, 1990 წელს სახაროვის მეუღლე, ელენა ბონერი, წერდა: "ვიდრე ზვიად გამსახურდია კავკასიაშია, კავკასია დაკარგულია რუსეთისთვის, რომლის მნიშვნელობაც ჯერ კიდევ ერმოლოვს ესმოდა." გარდა გეოსტრატეგიული ინტერესისა, რუსეთი ფსიქოლოგიურად ვერ ეგუება იმ აზრს, რომ საქართველო მისგან დამოუკიდებელი ქვეყანაა. თუ საქართველო დაბრუნდება რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში, რა მიზნითაც მოევლინა ჩვენს ქვეყანას ბიძინა ივანიშვილი თავისი "ქართული ოცნებით", მაშინ ჩვენ დავკარგავთ ჩვენს გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ დანიშნულებას, რისი დაკარგვაც, ალბათ, უკვე ხანგრძლივ ისტორიულ პერსპექტივაში, დაგვაკარგვინებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობას.

- "ქარტია 2010" გამორიცხავს "ქართული ოცნების" პროდასავლურ ორიენტაციას?

- სრულიად გამოვრიცხავთ. არის კი ადამიანი, რომელსაც გულწრფელად სჯერა, რომ "გაზპრომის" აქციონერს საქართველოს დასავლეთთან დაახლოება სურს და რომ მის ამ ზრახვას კრემლი აპლოდისმენტებით შეხვდება?! დამეთანხმებით, არარეალური სცენარია...

- ივანიშვილის გვერდით მყოფი თედო ჯაფარიძე თავის ინტერვიუში წერს, რომ ბრალდებაზე - ივანიშვილი პრორუსულიაო - დასავლეთშიც და საქართველოშიც უკვე ეღიმებათ...

- ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, თედო ჯაფარიძე, საკმაოდ ერკვევა საგარეო პოლიტიკაში და ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ არ სჯერა არც ერთი სიტყვის, რომელსაც თავად წერს და ამბობს. თედო ჯაფარიძემ არ შეიძლება, არ იცოდეს, რომ დასავლეთში, მათ, რომლებსაც ევალებათ საქართველოს საკითხებში გარკვევა, ნამდვილად არ "ეღიმებათ" ივანიშვილის პრორუსულ წარმომავლობაზე. ამის დასტურია როგორც ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის სტუმრობა საქართველოში, ისე ახლახან ევროპის პარლამენტში გამართული დებატები, რომლის დროსაც სრულიად ნათლად და მკაფიოდ წარმოჩნდა, თუ როგორ აფასებს დასავლეთი ივანიშვილის პიროვნებას. საპარლამენტო დებატებს მოჰყვა "ქართული ოცნების" მხრიდან სამარცხვინო ისტერია, რომელმაც კიდევ ერთხელ ცხადყო ამ კოალიციის დაბალი პროფესიონალიზმი და სრულიად ანტიდასავლური განწყობა. აღარაფერს ვიტყვი საფრანგეთის წამყვან გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებზე, რომლებშიც ივანიშვილისადმი დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითია. მართალია, ივანიშვილის მიერ დაქირავებული ლობისტები არ იშურებენ დროსა და ენერგიას, რაც შეიძლება მუქ ფერებში დახატონ დღევანდელი საქართველო და მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, მაგრამ ის, რომ ლობისტების დაქირავება არ ცვლის და ვერც შეცვლის დასავლეთის მიერ შემუშავებულ სტრატეგიას საქართველოს მიმართ, ეს ბატონმა თედომ კარგად უწყის. რაც შეეხება თვით საქართველოში "მომღიმართ" ივანიშვილის პრორუსულობის ბრალდებაზე, შევახსენებთ, რომ 90-იან წლებში ჩვენი საზოგადოების ნაწილის ირონიულმა "ღიმილმა" ზვიად გამსახურდიას მიმართ, როცა გამსახურდია რუსეთის საკითხებზე და მის მრავალრიცხოვან აგენტურაზე მიუთითებდა, მიგვიყვანა სახელმწიფო გადატრიალებამდე, რომლის ჭრილობებს დღემდე ძნელად ვიშუშებთ.

- დავუბრუნდეთ ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნას. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ "ხელისუფლებამ საპროტესტო მოძრაობას ძალა დაუპირისპირდა და "ხელისუფლება არ აპირებს ძალაუფლების დათმობას". ასევე, ის ვარაუდიც გამოითქვა, რომ, შესაძლოა, დასავლეთის გულის მოსაგებად, ახალმა პრემიერმა დაიწყოს მოლაპარაკება ივანიშვილთან.

- ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნით, პრეზიდენტმა, რა თქმა უნდა, ძლიერი სვლა გააკეთა. გააჩნია, ოპოზიცია "ძალაში" რას გულისხმობს? სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა დათმოს «ნაციონალურმა მოძრაობამ" ძალაუფლება, როცა ის, ყოველი გამოკითხვის მიხედვით, რამდენიმე ათეული პროცენტით უსწრებს ოპოზიციას? ან რას ნიშნავს "დათმობა", როცა ეს საკითხი არჩევნების გზით წყდება - ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ვინ რა უნდა დათმოს. რაც შეეხება მერაბიშვილისა და ივანიშვილის ჰიპოთეზურ მოლაპარაკებას, ვფიქრობ, რომ თუ ის მართლაც შედგება, ეს იქნება არა მერაბიშვილის, არამედ ივანიშვილის ინიციატივა, რადგან მან იცის, რომ უმრავლესობით ის პარლამენტში ვერ მოვა და არ არის გამორიცხული, რომ სხვა გზები ეძიოს. რაც შეეხება დასავლეთს, დასავლეთს სურს, საქართველო პოლიტიკურად სტაბილურ, დემოკრატიის გზაზე მიმავალ სახელმწიფოდ იხილოს და ძალზე მეეჭვება, რომ ამ მისიის შესრულებაში დასავლეთს ივანიშვილი რაიმე სერიოზული მნიშვნელობისა და ღირებულების ფიგურად ესახებოდეს.

*ესაუბრა **ქეთევან ქურდოვანიძე.***

პარიზი, 18 ივლისი, 2012 წელი.

ბაღათურიას უსუფაშვილი ამჯობინეს

მარი ახსიაშვილი

"ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ მაჟორიტარობის კანდიდატთა მორიგი სია წარმოადგინა. კოალიციის მაჟორიტარები თბილისში იქნებიან: ჩუღურეთში - ვიქტორ დოლიძე, სამგორში - ზურაბ აბაშიძე, ნაძალადევში - თეა წულუკიანი, ვაკეში - შალვა შავგულიძე, კრწანისში - შოთა ხაბარელი, ისანში - ალექსანდრე ქანთარია, მთაწმინდაზე - ზაზა პაპუაშვილი, დიდუბეში - ვახტანგ ხმალაძე, გლდანში - სოსო ჯაჭვლიანი. დარჩენილ რეგიონებში მაჟორიტარები იქნებიან: საგარეჯოში - თინა ხიდაშელი, ხონში - ნიკა სანოძე, ჭიათურაში - მალხაზ წერეთელი, მარტვილში - მურთაზ ხურცილავა, წალენჯიხაში - გიორგი ნაჭყებია, ამბროლაურში - დავით დარახველიძე. კოალიციას არ დაუსახელებია კანდიდატები ზუგდიდში, ცაგერში, ნინოწმინდაში, მარნეულსა და ახალაქალაქში.

ამასთან, ბიძინა ივანიშვილმა დაარღვია მაჟორიტარობის საკითხზე მიღწეული შეთანხმება და თბილისში საბურთალოს რაიონის მაჟორიტარად დავით უსუფაშვილი დაასახელა. ბაღათურიას "ქართული ოცნების" ლიდერის მიერ აღნიშნულ რაიონში მაჟორიტარის დასახელება გაუკვირდა. როგორც მან "24 საათს" უთხრა, საბურთალოს მაჟორიტარულ ოლქში კენჭისყრას თავად რომ აპირებს, ეს ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული ჰქონდა.

"შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბიძინა ივანიშვილთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესში, გაფუჭებულ ტელეფონს აქვს ადგილი. მე ამ მოლაპარაკებებში არანაირი სირთულე არ შემიმჩნევია. ოთხი-ხუთი დღეა, ივანიშვილს არ შევხვედრივარ და კონსულტაციებს მის წარმომადგენლებთან ვაწარმოებდი," - აღნიშნა ბაღათურიამ "24 საათთან" და დასძინა, რომ ივანიშვილთან შეხვედრამდე აღნიშნულ საკითხზე უფრო დეტალურ კომენტარს არ გააკეთებს.

ჯონდი ბაღათურია ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ აცხადებდა, რომ საბურთალოზე იყრიდა კენჭს და ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო როგორც «ქართულ ოცნებასთან", ასევე «სახალხო კრებასთან", რაც იმას ნიშნავდა, რომ საბურთალოს რაიონში "ქათული ოცნება" ბაღათურიას ძლიერ კანდიდატს არ ჩაუსვამდა.

"უკვე ორი თვეა, ამის შესახებ "ქართული ოცნება" და სახალხო კრება" ინფორმირებულები არიან და კოლეგების მხრიდან რამე წინააღმდეგობა და განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. დიალოგი კიდევ მიმდინარეობს. არა მგონია, რომ ქართულ ოცნებას", სახალხო კრებასა" და ჩვენ შორის მაჟორიტარულ ოლქებში კონკურენცია იქნება. ვცდილობთ, არჩევნებზე ერთიანი ფრონტით გამოვიდეთ," - აცხადებდა ჯონდი ბაღათურია.

ამის პარალელურად, "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ "ქართული დასის" ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან კონსულტაციები ადრეც მიმდინარეობდა და ახლაც გრძელდება.

"ჩვენ ვცდილობთ, ყველასთან გამონახოთ საერთო ენა საერთო საქმის გასაკეთებლად. ბაღათურიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მიმდინარეობს და ეს პროცესი გაგრძელდება. ჯონდითი იმიტომ დავინტერესდით, რომ ეს კაცი ისეთია, როგორიც არის. ჩვენ ვცდილობთ, ყველასთან გამოვნახოთ რაღაც საერთო. ჯერჯერობით, დიდი მიღწევები არ გვაქვს, მაგრამ კონსულტაციებს მაინც ვაგრძელებთ," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

გუშინვე "ქართული ოცნების" ლიდერმა აღნიშნა, რომ კოალიციის რამდენიმე წევრი მაჟორიტარი კანდიდატი არ იქნება.

დავით და ლევან ბერძენიშვილები, კახა შარტავა, რეზო შავიშვილი, გია ცაგარეიშვილი, გოგი თოფაძე, სოზარ სუბარი, დავით საგანელიძე და მაია ფანჯიკიძე შტაბის სასარგებლოდ გააგრძლებენ მუშაობას და ისინი დარჩენილ მაჟორიტარულ ოლქებში - ზუგდიდში, ცაგერში, ნინოწმინდაში, მარნეულსა და ახალქალაქში მაჟორიტარ კანდიდატებად კენჭს არ იყრიან. როგორც ივანიშვილი ამბობს, თუ მათ სურვილი ექნებათ, აუცილებლად იქნებიან კოალიციის პროპორციულ სიაში.

კიმ ჩენ ინს მარშლის წოდება "მიანიჭეს"

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა კორეის ეროვნული ჯარის მარშლის წოდება მიიღო. ამის შესახებ განცხადება ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ ოთხშაბათს გააკეთა. გადაწყვეტილება მაღალი რანგის წოდების მინიჭებაზე 17 ივლისს კორეის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა და სამხედრო კომიტეტმა, ჩრდილოეთ კორეის თავდაცვის კომიტეტმა და ქვეყნის უმაღლესმა სახალხო კრების პრეზიდიუმმა მიიღო.

ამ უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ჩრდილოეთ კორეის ცენტრალურმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია: "ჩრდილოეთ კორეის მთავარსარდალს მარშლის წოდების მიანიჭეს." დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ჯარის მთავარსარდალი შეუძლებელია, ამასთან ერთად არ იყოს მარშალიც.

გადაწყვეტილება "ახალგაზრდა ლიდერისთვის" კიმ ჩენ ინისთვის მარშლის წოდების მინიჭების თაობაზე მიიღეს მაღალი რანგის სამხედრო იერარქიაში განხორციელებული ცვლილებების ფონზე. ორი დღით ადრე ყველა თანამდებობიდან გაათავისუფლებს გენერალური შტაბის უფროსი, ვიცე-მარშალი ლი იონ ჰო, რომელსაც ახალგაზრდა ლიდერის ერთ-ერთ მფარველად მოიაზრებდნენ მას შემდეგ, რაც მისი მამა, ქვეყნის ყოფილი ლიდერი კიმ ჩენ ირი გარდაიცვალა.

ლი იენ ჰოს გათავისუფლების შემდეგ, რომლის ოფიციალურ მიზეზადაც "მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა" დასახელდა, მალევე ვიცე-მარშლის წოდება ჩრდილოეთ კორეის ჯარის გენერალს ჰენ ენ ჩხოლს გადაეცა. საერთაშორისო ექსპერტებს არ სჯერათ, რომ გენშტაბის ყოფილი ხელმძღვანელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაათავისუფლეს. მათ აღნიშნეს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელებს შორის ლი არც ყველაზე ასაკოვანი იყო და არც ყველაზე უძლური.

უნივერსიტეტ "ინჯის", ეროვნული გაერთიანების ფაკულტეტის პროფესორის კიმ ენ ჩხოლის განცხადებით, ლი იენ ჰოს გადაყენების შემდეგ, მალევე მარშლის წოდების მინიჭება ქვეყნის ახალი ლიდერისთვის იმაზე მიანიშნებს, რომ ჩრდილოეთ კორეის ახალგაზრდა ლიდერი მალე შეიარაღებულ ძალებში სერიოზული ცვლილებების გატარებას დაიწყებს. მარშალი ჩრდილოეთ კორეაში უმაღლესი სამხედრო წოდებაა. ანალიტიკოსები ვარაუდით, კიმ ჩენ ინს საშუალება ეძლევა, განამტკიცოს თავისი კონტროლი ჯარზე. მარშლის წოდებას ატარებდა ჩრდილოეთ კორეის ყოფილი ლიდერი კიმ ჩენ ირიც.

ჩრდილოეთ კორეაში ძალაუფლების გადაცემა მამიდან შვილზე დაკავშირებულია პოლიტიკურ მოტივებთან. ეს იმისთვის კეთდება, რომ არ მოხდეს პოლიტიკური კურსის შეცვლა და არსებული რეჟიმის დაშლა, რომელიც ადგილობრივ იდეოლოგიაზე - "ჩუჩხეზეა" დაფუძნებული. ეს საკუთარ ძალებზე დაყრდნობას ნიშნავს. კიმ ჩენ ინის მამას, ჩრდლილოეთ კორეის ყოფილ ლიდერს კიმ ჩენ ირსაც ძალაუფლება მისი მამისგან, კიმ ირ სენისგან გადაეცა, რომელიც ჩრდილოეთ კორეის პირველი პრეზიდენტი იყო.

სანამ კიმ ჩენ ინს მარშლის წოდებას მიანიჭებდნენ, ჩრდილოეთ კორეის საინფორმაციო სააგენტომ განაცხადა, რომ ფხენიანი "მნიშვნელოვან განცხადებას" გააკეთებდა. ამან მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი, სამხრეთ კორეაში შეშფოთება გამოიწვია. იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელად მსგავსი განცხადება გაისმა 2011 წლის დეკემბერში, როდესაც ქვეყნის მაშინდელი ლიდერი კიმ ჩენ ირი გარდაიცვალა, ახალმა გასაიდუმლოებულმა ანონსმა სეულის საფონდო ბირჟებზე მკვეთრი ვარდნა გამოიწვია.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ იცის, ფხენიანი რა განცხადებას გააკეთებს. სამხრეთ-კორეული ხელისუფლების თქმით, მიწისქვეშა რყევები, რომლებიც ბირთვული იარაღის გამოცდისთვის არის დამახასიათებელი, არ დაფიქსირებულა.

თვით მარშლის წოდების მინიჭების ფაქტზე "არანაკლებ საინტერესოა" ის სახალხო ზეიმი, რითიც ჩრდილოეთ კორეაში ეს "ღირსშესანიშნავი მოვლენა" აღნიშნეს. ფხენიანის ქუჩებში გამოიყვანეს ჯარისკაცები, მატროსები, ოფიცრები და სტუდენტები (ეს უკანასკნელებიც სამხედრო ფორმაში იყვნენ გამოწყობილები), რომლებიც მღეროდნენ პატრიოტულ სიმღერებს და ცეკვავდნენ. დასავლური მედიიის ცნობით, აშკარა იყო, რომ სტუდენტები ერთნაირ მოძრაობებს აკეთებდნენ, ჩანდა, რომ მათ რეპეტიციები ჰქონდათ გავლილი. ქუჩებში მოზეიმე ხალხი აცხადებდა, რომ კიმ ჩენ ინისთვის მარშლის წოდების მინიჭება "მათი სანუკვარი სურვილი იყო და მოხარულები არიან, რომ ეს განხორციელდა".

მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

ბიზნესი

"ბრითიშ ეარვეისი" საქართველოში რეისების შესრულებას იწყებს

თბილისი-ლონდონის მიმართულებით ყოველდღიური ფრენები შესრულდება

უმსხვილესმა ბრიტანულმა ავიაკომპანიამ "ბრითიშ ეარვეისმა" (ბრიტანეთის ავიახაზები) bmi-ის ბრენდის საკუთარ ბიზნესში ინტეგრირებით გააფართოვა მარშრუტების ქსელი და ახლა მის სიას თბილისი-ლონდონის მარშრუტიც დაემატა. ბრიტანეთის ავიახაზების ზამთრის ფრენების განრიგს, 2012 წლის 13 ოქტომბრიდან დაემატება თბილისი-ლონდონის ყოველდღიური რეისები, რომელსაც აერობუსი A321 შეასრულებს.

28 ოქტომბრიდან ბრიტანეთის ავიახაზები უკვე ყოფილი ბრენდის bmi-ის ალმაატის, ამანის, ბაქოს, ბეირუთისა და ფრიტაუნის ფრენის განრიგებსაც განაახლებს. ყველა ზევით აღნიშნულ მარშრუტზე ფრენებს "ბრითიშ ეარვეის"-ის თვითმფრინავები და საბორტო ეკიპაჟები შეასრულებენ, რომლებიც მგზავრებს ცნობილი ბრენდის ყველა მომსახურებას შესთავაზებენ. 2012 წლის ზამთარში ცნობილ ბრიტანულ ავიაგადამყვანს ისეთი მარშრუტებიც დაემატება, როგორებიც არის ლიდსი - ჰისროუს აეროპორტიდან და ლას- ვეგასი - გატვიკიდან.

ბრიტანეთის ავიახაზების ახლო აღმოსავლეთის რეგიონალური კომერციული მენეჯერი, პაოლო დე რენზისი აცხადებს : « ჩვენ მოხარულები ვართ, რომ მალე "ბრითიშ ეარვეისი" მგზავრებს ახალ განრიგს შესთავაზებს და მათ შორის იქნება თბილისი-ლონდონის მარშრუტიც, რომელზეც რეისები ყოველდღიურად შესრულდება. საქართველოდან მიმავალ ტურისტებსა და მგზავრებს საშუალება ექნებათ ლონონის გავლით დაუკავშირდნენ ბრიტანეთის ავიახაზების გლობალურ მიმართულებებს. ამავედროულად, ქართველი მგზავრები ისარგებლებენ ჩვენი ბრენდის ისეთი მომსახურებებით, როგორიც არის ბარგის 23 კილოგრამამამდე ლიმიტი, უფასო ონლაინ რეგისტრაცია და გაფრენამდე 24 საათით ადრე ბორტზე სასურველი ადგილების შერჩევის შესაძლებლობა"

აღსანიშნავია, რომ ამჟამად მიმდინარეობს bmi-ის კუთვნილი თვითმფრინავების ექსტერიერისა და ინტერიერის განახლება. "ბრითიშ ეარვეის"-ის ფერებით. აეროპარკის განახლება 2013 წლის დასაწყისში დასრულდება. აერობუს A321s-ს , რომელიც საშუალო მანძილის მარშრუტებზე იფრენს, გააჩნია World Traveller - ისა და Club World - ის კაბინები. World Traveller აღჭურვილია აუდიო-ვიდეო სისტემითა და ინდივიდუალური ტელეეკრანებით, ხოლო Club World - ის მგზავრები ისიამოვნებენ სრულად გაშალული სავარძელ-საწოლებით.

Deutsche Bank-ი და HSBC-ი სკანდალების გამო მოგებას კარგავენ

თინა შავაძე

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ოთხი უმსხვილესი ევროპული ბანკი - Credit Agricole, HSBC, Deutsche Bank და Societe Generale კარტელურ გარიგებას ბანკ Barclays-ის გავლით ახორციელებდნენ. ამ უკანასკნელმა ჩადენილი დანაშაული ივნისის ბოლოს, ფაქტობრივად, აღიარა.

ევროზონაში საინვესტიციო-საბანკო მომსახურების განვითარების პერსპექტივები სულ უფრო ბურუსით მოცული ხდება კრიზისის გამო. Deutsche Bank-ის მოგება მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოულოდნელად 36 პროცენტით შემცირდა.

"როიტერის" ინფორმაციით, გერმანულ ბანკზე დამატებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბოლო კვირის სკანდალმა, რომელიც Libor-სა და Euribor-ის დაკრედიტების განაკვეთების მანიპულირების გამო აგორდა. დიდი ბრიტანეთის საფინანსო ზედამხედველობის სამსახური ვარაუდობს, რომ ბანკთაშორისი დაკრედიტების მაჩვენებელით ყველაზე სერიოზულ მანიპულირებას ადგილი ჰქონდა 2005 და 2009 წლებს შორის.

ასეთ ვითარებაში უმსხვილესი გერმანული ბანკი Deutsche Bank-ი საინვესტიციო განყოფილების ათასი თანამშრომლის განთავისუფლებას გეგმავს.

გაზეთ Handelsblatt ინფორმაციით, ამ ეტაპზე ბანკი მხოლოდ გერმანიაში მოქმედი ფილიალების ოპტიმიზაციას გეგმავს, რომელიც ევროპის ფინანსური ბაზრების კრიზისით არის განპირობებული.

ამ მეთოდით ფინანსური ორგანიზაცია ხარჯების შემცირებას ცდილობს, თუმცა ჯერ კიდევ აპრილში აცხადებდა, რომ საინვესტიციო თანამშრომლების გათავისუფლების ვერანაირ აუცილებლობას ვერ ხედავდა.

გასული წლის ოქტომბერში Deutsche Bank-მა განაცხადა, რომ კორპორატიული კლიენტების მომსახურების განყოფილებაში 500 ადგილს შეამცირებდა. სულ საინვესტიციო და კორპორატიულ განყოფილებებს 14 ათასზე მეტი თანამშრონელი ჰყავს.

ცნობისათვის - აშშ-ს, ევროპისა და აზიის რეგულატორებმა ივნისში მსოფლიოს რამდენიმე უმსხვილესი ბანკის შემოწმება დაიწყეს. ისინი ეჭვმიტანილები არიან ბანკთაშორისი დაკრედიტების განაკვეთების მანიპულირებაში. რეგულატორები ფიქრობენ, რომ ამგვარმა მაქინაციებმა გავლენა მოახდინა სესხის საპროცენტო განაკვეთზე და მილიონობით კლიენტის ხარჯები გაზარდა.

სამშაბათს შეერთებული შტატების სენატში მუდმივმოქმედი ქვეკომიტეტის გამოძიების განხილვა გაიმართა, რომელიც ბანკის HSBC-ის არაკანონიერ საქმიანობას ეხებოდა. "ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ბანკს ბრალად წაუყენეს ის, რომ საკუთარ თავს უფლება მისცა, მონაწილეობა მიეღო მილიარდობით დოლარის თანხის გათეთრებაში, რომელიც ეკუთვნის მექსიკის ნარკოკარტელებსა და სახელმწიფო-თაღლითებს, ისეთებს, როგორიც არის ირანი, სირია და ჩრდილოეთ კორეა.

სენატში მოსმენაზე გამოძახებული HSBC-ის მოქმედმა და ყოფილი ხელმძღვანელებმა ბრალდებები არ უარყვეს, პირიქით, "ცოდვების მონანიება" დაიწყეს და აღნიშნეს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბანკი გაცილებით მკაცრი იყო საეჭვო ანგარიშების მიმართ და გულმოდგინედ სწავლობდა პოტენციურ კლიენტებს დევიზით: "იცნობდე შენს კლიენტს".

მაგალითად, თუ ადრე მსგავს შემოწმებაში ჩართული იყო HSBC-ის, დაახლოებით 200 სპეციალიზებული თანამშრომელი, ახლა, ბანკის პრეზიდენტ აირინ დორნერის განაცხადებით, მათი რაოდენობა 892-მდე გაიზარდა.

HSBC (Hong Kong Shanghai Banking Corporation) ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტია მსოფლიოში და ყველაზე დიდი - ევროპაში. ის ოპერირებს 80 ქვეყანაში. მისმა ანაბრებმა 2.5 ტრილიონ დოლარს მიაღწია, ხოლო კლიენტების რაოდენობას 89 მილიონს აჭარბებს. ბანკში დასაქმებულია 300,000 ადამიანი და მისმა მოგებამ 2011 წელს თითქმის 22 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ბოლო ვაჭრობაზე ბრიტანული ბანკის HSBC-ის აქციები 2,4 პროცენტით დაეცა და ერთი აქციის ფასი, დაახლოებით, 8 დოლარით შემცირდა. ამასთან, ერთი წლის განმავლობაში HSBC-ის კაპიტალიზაცია 12 პროცენტით შემცირდა.

მოსკოვი-პეკინის ვეტო რეზოლუციაზე

პირველი გვერდიდან

თუმცა დასავლეთისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის მოლოდინი ბოლომდე ჯერ ვერც ნიუ იორკში გადავადებულმა ფორუმმა გაამართლა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინაში უშედეგოდ დასრულდა უშიშროების საბჭოს შეხვედრა. სირიის საკითხზე დასავლეთის მიერ ინიცირებული რეზოლუცია ოფიციალურმა მოსკოვმა და პეკინმა კიდევ ერთხელ დაბლოკეს. დოკუმენტის ტექსტი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ახალ სანქციებს ითვალისწინებდა იმ შემთხვევისთვის, თუ არ შეწყდებოდა მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ იარაღის გამოყენება და არმია არ დატოვებდა დასახლებულ პუნქტებს. გარდა ამისა, რეზოლუცია სირიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მანდატის 45 დღით გახანგრძლივებასაც ითვალისწინებდა. რუსეთმა და ჩინეთმა არასასურველი რეზოლუცია უკვე მესამედ დაბლოკეს, პროექტმა ორის წინააღმდეგ 11 ხმა მოიპოვა.

სირიაში კი მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება, დამასკოში უკვე ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარე შეტაკებების ფონზე ქვეყანა პრეზიდენტის ოჯახმა დატოვა. დასავლური მედიის ნაწილი წერს, რომ ბაშარ ალ-ასადის მეუღლე ასმამ თავი მოსკოვს შეაფარა, ხოლო თავად პრეზიდენტის ადგილსამყოფელი თითქმის 12 საათი უცნობი იყო. ბრიტანული გამოცემა "გარდიანის" თანახმად, ბაშარ ალ-ასადი სირიის სანაპირო ქალაქ ლათაყიაში იმყოფება, რომლის მახლობლადაც რუსეთის საზღვაო ძალების ერთადერთი სამხედრო ბაზაა განლაგებული. ამ დრომდე უცნობია პრეზიდენტის ძმის ადგილსამყოფელი. მართალია, იგი დამასკოში აფეთქების დროს მინისტრთა შეხვედრას არ ესწრებოდა, მაგრამ, დაუდასტურებელი ინფორმაციით, მასზე მოგვიანებით განხორციელდა თავდასხმა და იგი მძიმედაა დაშავებული. უპრეცედენტო მასშტაბის აფეთქება დამასკოს სამთავრობო რაიონებში ბრძოლით გაგრძელდა, რეჟიმმა თითქმის დაკარგა კონტროლი მიდანის, თადამონის, გაბუნისა და ქაფრ სუზას რაიონებზე. სროლა ისმის პარლამენტთან, მაგრამ ჯერჯერობით სიმშვიდეა ცენტრიდან 7 კილომეტრის დაშორებით მდებარე საპრეზიდენტო სასახლესთან, სადაც, არმიის დანაყოფებთან ერთად, მძიმე ტექნიკაა მობილიზებული.

ეროვნული უშიშროების შენობასთან მომხდარმა აფეთქებამ მოსკოვი შოკში ჩააგდო. **"რა მოხდა? მოკვდა? ასეც ვიცოდი, ყველაფერი ასე ხდება ხოლმე,"** - ასეთი იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი შეფასება სირიის სამხედრო მაღალჩინოსნების მკვლელობაზე. ადგილზე დაიღუპნენ თავდაცვის მინისტრი დაუდ რაჯა, რომელიც ამბოხის ჩახშობის არქიტექტორი და სირიის ქრისტიანული საზოგადოების წევრი იყო, მისი მოადგილე და ასადის სიძე, სამხედრო დაზვერვის ყოფილი შეფი ასეფ შაუქათი. მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა ანტიკრიზისული შტაბის ხელმძღვანელი და ასადის მრჩეველი ხასან თურქმანი; მძიმედაა დაჭრილი შინაგან საქმეთა მინისტრი მუჰამედ აშ-შაარი. დამასკოს სისხლიან მოვლენებს კრიტიკით გამოეხმაურა სირიის ინფორმაციის მინისტრი. **"რაც დამასკოში მოხდა, სირიაში დასავლეთისა და ზოგიერთი არაბული სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგია. პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ. გარწმუნებთ ეს გადამწყვეტი ბრძოლაა დამასკოსთვის და მთლიანად სირიისთვის,"** - განაცხადა სირიის ინფორმაციის მინისტრმა ომრან ზოაბიმ. ბაშარ ალ-ასადის მინისტრისგან განსხვავებით, დადებითად შეაფასეს მოხმდარი სირიის ნაციონალურ საბჭოში და მას მმართველი რეჟიმის დასასრულის დასაწყისი უწოდეს. **"ოპერაცია 100 პროცენტით წარმატებული იყო, რამაც ამბოხებულთა მორალური განწყობა კიდევ უფრო გააუმჯობესა. აფეთქებამ ძლიერად შეარყია რეჟიმი. ბაშარ ასადს გარშემო თითოოროლა ადამიანიღა დარჩა, ვისაც ენდობა. დაუდ რაჯა, ასეფ შაუქათი უკვე აღარ არსებობენ, ახლა ასადის ჯერი მოვიდა,"** - განაცხადა სირიის ნაციონალური საბჭოს პრესსპიკერმა აჰმად ზაიდანმა.

სირიაში შექმნილ მდგომარეობას საერთაშორისო გამოხმაურება უკვე მოჰყვა ამერიკის, რუსეთის, ბრიტანეთისა და ისლამური სამყაროს მხრიდან. სირიის კრიზისზე გაერთიანებული ერების ორგანზიაციის უშიშროების საბჭოს სხდომამდე იმსჯელეს მოსკოვში თურქეთის პრემიერ-მინისტრმა და რუსეთის პრეზიდენტმა. თურქულმა მხარემ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, კოფი ანანის გეგმის შესაბამისად, სირიის კრიზისის უმოკლეს ვადებში რეგულირების აუცილებლობა. **"მნიშვნელოვანია ჟენევის კონფერენციაზე შეთანხმებული საგზაო რუკის ამოქმედება,"** - განაცხადა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. სირიის სახელმწიფო არმიაში დეზერტირობას კი მასობრივი ფორმა მიეცა. ასადს კიდევ 20 გენერალი განუდგა და ამბოხებულების მხარეს გადავიდა.

ბურგასში ებრაელი ტურისტები ააფეთქეს

სალომე ჯანიაშვილი

18 ივლისს ბულგარეთში, ქალაქ ბურგასის აეროპორტ "სარაფოვის" ავტოსადგომზე თვითმკვლელმა ტერორისტმა ავტობუსში თავი აიფეთქა. ავტობუსის მგზავრები ებრაელი ტურისტები იყვნენ, რომლებიც ბულგარეთში დასასვენებლად ჩავიდნენ.

აფეთქების შედეგად დაიღუპა 8 ადამიანი, 34 კი დაშავებულია, მათგან ზოგიერთის მდგომარეობა კრიტიკულია. გარდაცვლილთაგან ერთ-ერთი ავტობუსის ბულგარელი მძღოლი იყო, მეორე, სავარაუდოდ, თავად ტერორისტი. გავრცელებული ინფორმაციით, ავტობუსში სულ 40 მგზავრი იმყოფებოდა. არსებობს ვარაუდი, რომ დაღუპულთა რიცხვი შესაძლოა კიდევ გაიზარდოს.

ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ აფეთქებას ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მიანიჭა, თუმცა ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას აფეთქება საკუთარ თავზე არ აუღია.

ბულგარელი გამომძიებლები ჯერჯერობით ორ ვერსიაზე მუშაობენ. პირველი: ბომბი ჩემოდანში იყო დამალული და როდესაც ბარგი ავტობუსში ჩატვირთეს, მაშინ აფეთქდა. მეორე ვერსიის თანახმად, ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტობუსში მანამდე მოათავსეს, სანამ მასში ტურისტები ჩასხდებოდნენ. ის ფაქტი, რომ ბომბი ავტობუსის ქვეშ იყო დამონტაჟებული, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმაც დაადასტურა.

გავრცელებული ინფორმაციით, ტერორისტული აქტი შესაძლოა განახორციელა გრძელთმიანმა მამაკაცმა, რომელიც ბულგარეთში შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა. ეჭვმიტანილის ფოტო პოლიციამ უკვე გაავრცელა. სურათზე კარგად ჩანს, ლურჯმაისურიანი მამაკაცი, მუქი სათვალით, რომლიც მშვიდად დგას მოსაცდელ ოთახში, აფეთქებამდე ერთი საათით ადრე. გარკვეული დროის შემდეგ ის უკვე ავტოსადგომზეა, სადაც ებრაელ ტურისტებს ავტობუსი ელოდებოდა. მისი სიკვდილის შემდეგ იპოვეს დოკუმენტები, თუმცა ისინი ყალბი აღმოჩნდა. გამომძიებლები ეჭვმიტანილის დნმ-ის ანალიზის პასუხს ელიან და ამის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გავრცელდება.

აფეთქებული ავტობუსის გარდა, დაიწვა მის გვერდით მდგომი კიდევ ორი ავტობუსი, დაზიანდა აგრეთვე რამდენიმე ავტომობილიც. დაშავებულები არიან სხვა სატრანსპორტო საშუალებებშიც. მაგალითად, რუსეთის საკონსულო ბულგარეთში იტყობინება, რომ დაშავებულთა შორის ორი რუსიც არის. ისინი იმ ავტობუსის გვერდით გაჩერებულ მანქანაში ისხდნენ, სადაც აფეთქება მოხდა.

ისრაელის მთავრობამ ბურგასში გაგზავნა თვითმფრინავი ექიმებით და განაცხადა, რომ დაღუპულებს და რამდენიმე დაშავებულს სამშობლოში გადაიყვანენ.

ერთ-ერთმა გადარჩენილმა ტურისტმა ქალმა გალ მალკამ განაცხადა, რომ აფეთქება მოხდა ავტობუსის წინა ნაწილში, მას შემდეგ, რაც ყველა მგზავრმა კუთვნილი ადგილი დაიკავა. ბულგარელი ჟურნალისტი დობრომირ დოვკაჩაროვი შემთხვევის ადგილზე ნახევარ საათში მივიდა და განაცხადა, რომ აფეთქების შედეგად 3 ავტობუსი დაინგა. "ირგვლივ ყველა შოკირებული იყო. ბევრი ყვებოდა, რომ დაინახა ადამიანის სხეულის მოწყვეტილი ნაწილები," - განაცხადა ჟურნალისტმა.

ისრაელის ხელისუფლება ტერორისტულ აქტში თეირანს ადანაშაულებს. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ყველა მტკიცებულება, რაც ამ საქმეზე არსებობს, ირანისკენ მიუთითებს. "ყველა კვალი ირანისკენ მიდის. ისრაელის პასუხი ირანის თავდასხმაზე იქნება მკაცრი," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. "ებრაელების წინააღმდეგ მიმართული ასეთი აფეთქებები ადრე უკვე მოხდა ინდოეთში, ტაილანდში, აზერბაიჯანსა და კენიაში," - განაცხადა მან. ირანის ხელისუფლებას ნეთანიაჰუს განცხადებაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. 18 წლის წინ, 1994 წლის 18 ივლისსაც არგენტინაში, ბუენოს-აირესში ააფეთქეს ებრაული ცენტრი. მაშინ 86 ადამიანი დაიღუპა. ისრაელმა მაშინაც აფეთქებაში ირანი დადანაშაულა.

მომხდართან დაკავშირებით განცხადება აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც გააკეთა და მას "ბარბაროსული ტერორისტული აქტი" უწოდა.

შესაძლებელია, აფეთქება ბულგარეთში იყოს კიდევ ერთი აქცია უხილავი ომისა ირანსა და ისრაელს შორის. ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს იყო პასუხი აფეთქებებზე, რომელიც მოხდა ირანში და რომლის შედეგადაც ბირთვული ფიზიკის ცნობილი მეცნიერები დაიღუპნენ.

ამასთან ერთად, ოთხშაბათს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტურისტული კომპანია "ორტანა", რომელიც ებრაელი ტურისტების მასპინძელი იყო, გაფრთხილებული იყო შესაძლო ტერაქტის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, ტერაქტამდე ერთი საათით ადრე უცნობმა მამაკაცმა დარეკა ოფისში და შეატყობინა მათ, რომ ებრაელებს ორი ბომბით "დახვდებოდნენ". თუმცა ამ ზარს რა რეაგირება მოჰყვა ტურისტული სააგენტოს მხრიდან, ცნობილი არ არის.

ბულგარეთის ხელისუფლება კი თავის მხრივ აცხადებს, რომ ტერაქტის წინაწარ განსაზღვრა და აღკვეთა შეუძლებელი იყო, რადგან ის მოხდა უკვე აეროპორტის გარეთ, სადაც ყველას შეუძლია, კაფეში ან მაღაზიაში წყნარად დაელოდოს "სამიზნე" ჯგუფს და მასთან ერთად ავიდეს ავტობუსში.

ევროკავშირმა ყარაბაღში "საპრეზიდენტო არჩევნები" დაგმო

19 ივლისს ყარაბაღში ჩატარდა "საპრეზიდენტო არჩევნები". ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების საკითხებში, ბარონესა კეტრინ ეშტონმა გუშინვე განაცხადა: "19 ივლისს მთიან ყარაბახში "საპრეზიდენტო არჩევნები" ტარდება. მინდა, შეგახსენოთ, რომ ევროკავშირი არ აღიარებს იმ კონსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც ეს არჩევნები გაიმართება. მე ვადასტურებ ევროკავშირის სრულ მხარდაჭერას ეუთო-ს მინსკის ჯგუფის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებების მიმართ. მხარეებს მოვუწოდებ, გამოსავალი მადრიდის პრინციპიდან გამომდინარე მოძებნონ, რომელიც პროგრესზეა გათვლილი და არა - სტატუს კვოზე. ევროკავშირი ამ მიმართულებით დახმარების აღმოჩენისათვის მზადაა."

აღნიშნული არჩევნები, ცხადია, უკვე დაგმო აზერბაიჯანის დიპლომატიურმა უწყებამაც. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში საუბარია, რომ აღნიშნული "არჩევნები" საერთაშორისო ნორმებს ეწინააღმდეგება და არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ამერიკას "ნომერ პირველი ტერორისტის" ლიკვიდაციის გამო უჩივიან

ამერიკის სამი მოქალაქის ნათესავებმა, რომლებიც იემენში საჰაერო იერიშებს ემსხვერპლნენ, ამერიკის თავდაცვის მინისტრის, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორისა და კიდევ ორი ოფიცრის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს.

იმამ ანვარ ავლაკი და სამი ხანი გასული წლის სექტემბერში დაიღუპნენ, ავლაკის 16 წლის ვაჟი აბდულრაჰმანი კი ოქტომბერში მოკლეს. რადიკალი ისლამისტი ანვარ ავლაკი არაბეთის ნახევარკუნძულის "ალ კაიდას" გამოჩენილი ფიგურა იყო, რომელსაც ამერიკა "ნომერ პირველ ტერორისტად" მიიჩნევდა. მისი ვაჟი კოლორადოში დაიბადა. სამი ხანმა ამერიკის მოქალაქეობა ოჯახის ამერიკაში გადასვლის შემდეგ მიიღო. იგი ჟურნალ Inspire-ის გამოცემაში იღებდა მონაწილეობას, რომელსაც "ალ კაიდა" ინგლისურ ენაზე გამოსცემდა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ამ სასამართლო პროცესს, შესაძლოა, მთელი რიგი სირთულეები შეექმნას. 2012 წლის მარტში ამერიკის გენერალურმა პროკურორმა ერიკ ჰოლდერმა ამერიკელი მაღალჩინოსნების მიერ უპილოტო თვითმფრინავების გამოყენება დაიცვა. პროკურორის თქმით, ამერიკას აქვს უფლება, მის საზღვრებს გარეთ იმ ტერორისტული დაჯგუფებებს წევრებს ებრძოლოს, რომელთანაც ამერიკა ომის მდგომარეობაში იმყოფება; იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ დაჯგუფების წევრი ამერიკის მოქალაქეა.

ამერიკა საკუთარ მოქალაქეებს აფრთხილებს

ამერიკის მთავრობამ მსოფლიოს მასშტაბით საკუთარ მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდა. ტერორისტთა ჯგუფები "კვალავაც გეგმავენ ამერიკის წინააღმდეგ ტერორისტულ თავდასხმებს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში," - საუბარია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. ამერიკის მოქალაქეები ფრთხილად უნდა იყვნენ სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისას, მათ შორის, საზღვაო ტრანსპორტითაც. განცხადებაში საუბარია, რომ განსაკუთრებით სახიფათო რაიონებს ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა წარმოადგენს.

ხუთი ბრიტანელი ტერორიზმში დაადანაშაულეს

ლონდონის პოლიციამ ივლისის დასაწყისში დაკავებული ხუთი ბრიტანელი ტერორიზმში დაადანაშაულა. სამ მათგანს ბრალად ედება ტერაქტების მოწყობისათვის მომზადება პაკისტანში. პოლიციის განცხადებით, გამოძიება ოლიმპიურ თამაშებს არ უკავშირდება, რომელიც ლონდონში სულ მალე დაიწყება.

ბრიტანეთისა და პაკისტანის პრემიერები ავღანეთის პრეზიდენტს შეხვდნენ

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ქაბულში დიდი ბრიტანეთისა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრებთან მოლაპარაკებები გამართა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა, მასპინძელთან ერთად, ხელი მოაწერა შეთანხმებას ოფიცრების საწრთვნელი აკადემიის აშენების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ყარზაი პაკისტანის ახალ პრემიერს რაჯა ფარვეზ აშრაფს პირველად ხვდება. როგორც ცნობილია, საერთაშორისო ძალები ავღანეთს 2014 წლის ბოლოსათვის დატოვებენ. ამ წლის დასაწყისში გამართულ კონფერენციაზე ავღანეთმა მიიღო დაპირება, რომ დახმარების სახით 10,3 მილიარდ ევროს მიიღებს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ბათუმში ჯაზი დაიწყო

პირველი გვერდიდან

ლარი გრეჰემისა და მისი ბენდის, Graham Central Station-ის კონცერტი ბათუმის ჯაზფესტივალის ისტორიაში დაახლოებით ისეთ ადგილს დაიკავებს, როგორიც აგერ უკვე წლებია, მარკუს მილერის კონცერტს უკავია. ლეგენდარულმა ბასისტმა დიდებული მუსიკალური ბიოგრაფიით თავის მუსიკოსებთან ერთად შესანიშნავი შოუ შემოგვთავაზა, რასაც ჩაროზად მისი განსაკუთრებული დაკვრის ტექნიკა გასდევდა. არანაკლებ საინტერესო, მეტიც, პრაქტიკულად სასწაული აღმოჩნდა ბიტბოქსერი ქალბატონის, ამ ჟანრში მსოფლიო ჩემპიონ Butterscotch-ის საკონცერტო ნაწილი. ზოგჯერ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ ხმებს ერთი ადამიანი გამოსცემდა, დაუჯერებელი იყო ისიც, რომ ერთდროულად რამდენიმე "ინსტრუმენტის» მიქსს ვისმენდით, რასაც ახალგაზრდა მუსიკოსის ძალიან სასიამოვნო ვოკალიც ერთვოდა. ერთი სიტყვით, ბათუმის ჯაზფესტივალი თბილისის ფესტივალის მსგავსად ყოველ წელს ახერხებს ჩვენს გაოცებას, რაც ერთმნიშვნელოვნად "ისტერნ პრომოუშენის» დამსახურება გახლავთ.

ამავე კომპანიის აქტივში ჩაირიცხება ის საფესტივალო დღეებიც, რომლებიც ჯაზის მოყვარულებს წინ გველის, თუმცა მანამდე ცალი თვალით განვლილი დღეების აფიშას გადავხედოთ: ფესტივალი 17 ივლისს დაიწყო. კონცერტები ძველ ბულვარსა (კოლონადებთან) და კლუბ Take Five-ში გაიმართა. ჯაზს შეგრძნება ქალაქის სხვა წერტილებშიც შეიძლება, სპეციალურად მოწყობილ ადგილებში, სადაც ფესტივალთან დაკავშირებული სუვენირების შეძენაა შესაძლებელი. წელს ბათუმელები და ქალაქის სტუმრები შავი ზღვის ჯაზფესტივალის შარშანდელმა სტუმარმა, ბენდმა Men In Brass კიდევ ერთხელ გაამხიარულა და მუსიკის გარდა იმპროვიზებული შოუებიც შემოგვთავაზა. 17 და 18 ივლისს კოლონადებთან და კლუბ Take Five-ში ბენდი Salio, სალომე კორკოტაშვილის ჯგუფი უკრავდა. 17 ივლისს Take Five-ში ელენე კალანდაძის ბენდის, House Lovers-ის კონცერტიც გაიმართა, მეორე დღეს კი კოლონადებთან ჯგუფი "ხიდი" უკრავდა.

გუშინ კი ფესტივალის ძირითადი ნაწილი დაიწყო, რომლის მონაწილეთა შესახებ ზემოთ უკვე მოგიყევით. დღევანდელ კონცერტს კი პიანისტ ბაჩა მძინარიშვილის კვინტეტი გახსნის. ქართველი მუსიკოსის ბენდის სპეციალური სტუმარი მესაყვირე დარენ ბარეტი იქნება, მათთან ერთად კი სცენაზე საქსოფონისტი მაირონ უალდენი, ბასისტი შინ საკაინო და დრამერი კორი ფონვილი გამოვლენ. მძინარიშვილის ბენდის გამოსვლის დასრულებისთანავე 20 ივლისის საკონცერტო პროგრამას ქართველი მსმენელისთვის კარგად ნაცნობი ჯონ სკოფილდი და მისი Hollowbody Band-ი გახსნის, რომელიც კურტ როუსენუინკელს, ბენ სტრიტსა და ბილ სტიუარტს წარმოადგენს. სუფთა ჯაზის მოყვარულებისთვის ეს კონცერტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, ამრიგად, საუკეთესო განწყობისთვის დღეიდანვე მოემზადეთ. როგორც კი ჯონ სკოფილდი სცენას დატოვებს, ელექტრომუსიკის მოყვარულებს ყურადღებისკენ მოვუწოდებთ, რადგან იმ წუთიდან კორტებზე, არც მეტი, არც ნაკლები, The Black Eyed Peas-ის წევრი, Taboo და მისი მუსიკა გაბატონდება. მუსიკოსი საკუთარის გარდა Black Eyed Peas-ის ცნობილ კომპოზიციებსაც შეასრულებს. ამ პროგრამით მუსიკოსი უკვე გამოვიდა ლონდონის, პარიზის, ბანგკოკის, სინგაპურის, შანხაის, მაიამისა და კანის სცენებზე და როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ტაბუმ შესანიშნავად შეძლო ჯგუფის კონტექსტიდან უმტკივნეულოდ ამოვარდნა და საკუთარი ნიჭის დამტკიცება. ამრიგად DJ set by TABOO-ს თუ გამოტოვებთ, გვერწმუნეთ, სანანებლად ძალიან დიდხანს გაგყვებათ.

21 ივლისის კონცერტს ჯო კალდერაცოს ტრიო გახსნის, ორიოდე საათში კი ბათუმის ჯაზფესტივალის ტრადიციული სტუმარი ბექა გოჩიაშვილი თავის ახალ სექსტეტს წარმოგვიდგენს, რომლის შემადგენლობაშიც ვიქტორ ბეილი, ლენი უაითი, უოლეს რუნი, ლიონელ ლუკე და ჯალიილ შოუ შედიან. ფესტივალს კი ბრაზილიური მუსიკის ლეგენდად შერაცხული სერჟიო მენდესის სამბა, ბოსა-ნოვა და ჰიპ-ჰოპი დახურავს.

ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თიბისი სტატუსი, მხარდამჭერია ბათუმის მერია და აჭარის კულტურის სამინისტრო, დამატებითი ინფორმაცია კონცერტების, ბილეთებზე ფასდაკლებებისა და სხვა საკითხების შესახებ კი იხილეთ ვებგვერდზე batumijazz.ge.

P.S. ყველა საფესტივალო დღის ბოლოს კლუბ Take Five-ში დიჯეი Logic საკუთარ შოუს გამართავს, რომელზე დასასწრები ბილეთის შეძენაც ცალკე მოგიწევთ.

ორი ხელით დაწერილი ტექსტები

ბელა ჩეკურიშვილი

ლიტერატურის ისტორიამ რამდენიმე ბრწყინვალე შემთხვევა იცის, როცა ნაწარმოების ავტორად წყვილი გვევლინებოდა. ძმები გრიმების და ილფი-პეტროვის კვალდაკვალ ძმები ვაინერები და სტრუგაცკები არიან. ქართული ლიტერატურიდან კი ბესო ხვედელიძის და მაკა მიქელაძის ერთობლივი რომანი "იხვის ტოლმა" გავიხსენოთ და ვთქვათ, რომ თუ ხანდახან ამგვარი თანამშრომლობა ექსპერიმენტის დონზე რჩება, ზოგჯერ საკმაოდ წარმატებულიც გამოდის. რასაკვირველია, "ორი ხელით წერა" იოლი საქმე არ არის, მაგრამ ძალების მოსინჯვა აქაც შეიძლება, მით უფრო, როცა საქმე სასწავლო პროცესს და შემეცნებას ეხება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა და პოეზიის კლუბმა ამ ცოტა ხნის წინ სტუდენტებისათვის გამოაცხადა კონკურსი: "ორი ხელით დაწერილი ტექსტები", რომელიც უნივერსიტეტში პოეზიის სწავლო კურსის ნაწილია.

კონკურსი ორი შემოქმედის მიერ ერთობლივად შექმნილ ტექსტს გულისხმობს, ჟანრის შეუზღუდავად და ორ ეტაპად ჩატარდება. 1-ლ ეტაპზე ილიაუნის სტუდენტები ირჩევენ ერთმანეთს (ვისთან ერთადაც უნდათ, რომ შექმნან საკონკურსო ტექსტი) და თავიანთი შემოქმედებიდან თითოეული ორი გვერდის ფარგლებში პოეტური ან პროზაული ტექსტის ფრაგმენტებს აგზავნიან საკონკურსო მისამართზე: iliauniskonkursi@iliauni.edu.ge.

შესარჩევი ტექსტების გამოგზავნის ბოლო ვადა დღეს, 20 ივლისს ამოიწურება,

25 ივლისს კი კონკურსის ჟიური გამოავლენს 10 გამარჯვებულ წყვილს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსის ფინალში, რომელიც ჩატარდება წინანდალში, ალ.ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე, "ლაბირინთებში".

კონკურსანტებს ადგილზე მიეცემათ თემა, რომელზეც უნდა შექმნან საკონკურსო ტექსტი. ჟიური იქვე გამოავლენს 2 გამარჯვებულს.

1-ლ ადგილზე გასული დაჯილდოვდება 500 ლარით, მეორე ადგილისთვის კი 300 ლარია დაწესებული.

პოეზიის სალექციო კურსი, რომელსაც ილიას უნივერსიტეტში პროფესორი და პოეტი ცირა ბარბაქაძე უძღვება, არჩევითი საგანია ბაკალავრის პირველ საფეხურზე და თეორიის გარდა, პრაქტიკულ კურსსაც მოიცავს, სადაც სტუდენტები აუდიტორიის წინაშე საკუთარ ნაწერებს წარადგენენ და განიხილავენ. ერთ-ერთ ამგვარ მეცადინეობაზე, ირაკლი შარმიაშვილმა და სოფიო კომახიძემ ერთობლივი ლექსი წაიკითხეს, რომელიც გარდა იმისა, რომ წყვილის ნამუშევარი იყო, საინტერესო ტექსტს წარმოადგენდა და აუდიტორიისა და ლექტორის დაინტერესება გამოიწვია. იქვე იშვა იდეა: სხვებსაც ეცადათ.

ერთობლივი ნაწარმოების შექმნა, ლექსი იქნება ეს თუ პროზა, ავტორების მხრიდან ისეთ სინქრონულობას მოითხოვს, რაც ნებისმიერ ასაკში ძნელი მისაღწევია.

"სტუდენტებისთვის ეს ერთობლივი ლექსი სრული მოულოდნელობა იყო. ბოლოს ნათია კაპანაძემ იკითხა, "თქვენ ორი ხელით წერთ?" აქედან გაჩნდა იდეა, ორი ხელით დაწერილი ტექსტების კონკურსის ჩატარების. ვთხოვე სტუდენტებს, დაეწერათ პატარა პროექტი კონკურსისათვის. ამას დაემთხვა ის, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი ორიგინალური ლიტერატურული პროექტისათვის. ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ სამინისტროსგან დაფინანსება მივიღეთ" - ამბობს ცირა ბარბაქაძე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორის მიერ ინიცირებული "ქართული რომანის კონკურსის" გარდა, ყოველწლიურად სხვადასხვა სტუდენტურ ლიტერატურული კონკურსებითაც გამოირჩევა.

ახალგაზრდები, მოგეხსენებათ, ყველაზე უფრო ემოციურნი და პროდუქტიულები არიან, როცა საქმე შემოქმედებას ეხება. ცირა ბარბაქაძის თქმით, სტუდენტებს შორის ბევრია, რომელსაც ჰგონია, რომ რაღაცას წერს და ბევრიც ისეთი, სალექციო კურსის განმავლობაში რომ აღმოაჩენს ხოლმე საკუთარ თავში მხატვრული ტექსტის დაწერის უნარს და სურვილს.

და რა საჭიროა ამდენი მწერალი? - შეიძლება ესეც ვიკითხოთ, როცა ცირა ბარბაქაძის ინიციატივებს და კონკურსებს ვადევნებთ თვალს.

ცირა ბარბაქაძე:, ილიაუნის პროფესორი: "მე არ მინდა, რომ ამ სტუდენტებმა პოეტად ქცევა გაიხადონ მიზნად. მე მათ ვაქეზებ საწერად, რადგან წერის დროს სწავლობს ადამიანი ფიქრს. ამ ლექციების კურსმა შეიძლება პოეტად არავინ ჩამოაყალიბოს, მაგრამ ფიქრს კი დააწყებინებს. შემეცნებისკენ ისინი პოეზიის გზით მიმყავს და ამ გზაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის საზეიმო განცდა, რაც ლექსის შემქნას და მოსმენას ახლავს თან. ეს ამაღლებული განწყობა, რასაც ხელოვნება იწვევს, ხომ ადამიანებს აერთიანებს. მინდა ახალგაზრდებმა პოეზიით გახარება ისწავლონ. სწორედ ამიტომ, ჩვენი კონკურსები არ არის ორიენტირებული შედეგზე, ფინალი ყოველთვის საზეიმოა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს".

ამას ემსახურებოდა "აზრები.ჯი"-ს კონკურსი, პერფორმანსული პროექტები "აწყვეტილი ღილები", "თეთრი ხელთათმანები", "ცოცხიანი პოეტების საღამო", "მაღალი არავერბალური პოეზია ხეებიდან" და ა.შ. თუკი პედაგოგიკის მეთოდიკას გადავხედავთ, "თამაშით სწავლება" ყველაზე ეფექტური გზაა შემეცნებისკენ, რასაც ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების შემთხვევაში, პოეტური კრებულები მოსდევდა შედეგად. თუმცა, ეს ალმანახებიც პოეზიის მასწავლებლისთვის მეორეხარისხოვანია, მთავარი პოეზიის აღქმაა.

როლან ბარტის თქმით, მთავარი ავტორი კი არ არის, არამედ აზრი, რომლის გარშემოც ჩვენ ვიკრიბებით. დღეს სცენაზე გამოდის სიტყვა. 21-ე საუკუნის პრაგმატულ ეპოქაში კი, როცა ადამიანი ყველაფერს უტილიტარული დანიშნულებით უდგება და მხატვრული სიტყვა, როგორც ასეთი, ნელ-ნელა იცრიცება. ასე რომ ნუ შეგვაშინებს "პოეზიის სამჭედლო", რაც მეტად წავახალისებთ ახალგაზრდებში წერის სურვილს, მეტად დავიცავთ ჩვენს საზოგადოებას გამოფიტვისგან.

დუაიტის ამბები

ალექსანდრე ასათიანი

დუაიტ ჰოვარდი "ლეიკერსში" მიდის

"ლეიკერსმა" ვერ წამოიყვანა გრანტ ჰილი. ფორვარდი იქვე, ლოს ანჯელესში დარჩა და, კრის პოლთან ერთად, "კლიპერსის" წითელ ფრენჩაიზში ირბენს. ჰილი სერიოზული ვარიანტი იყო. "ლეიკერსმა" სხვა ვარიანტები უნდა გაშანსოს. ჯეკ ნიკოლსონის უბანში დუაიტ ჰოვარდი უნდა მივიდეს. დიდი ბიჭი უკვე დაღლამდე წუწუნებს და დიდ კუშს ითხოვს. "ბრუკლინში" მოსალოდნელი კონტრაქტი არ მოსულა - მიხაილ პროხოროვმა ბრუქ ლოპესი დაიტოვა და ბანკში ფული არ არის, მხოლოდ წითელი ხიზილალა დარჩა. დუაიტს ხიზილალით ვერ მოისყიდი. მისტერ ჰოვარდს დოლარების კოქტეილი ურჩევნია. ამ კოქტეილს ელ-ეიში ერთი მაგარი ბარმენი ამზადებს და იმ ბარმენმა ჰოვარდს კიდევ ერთი კონტრაქტი გაუგზავნა. დუაიტი და "ლეიკერსი" კარგი ვარიანტია. დუაიტისა და "ლეიკერსისთვის" კარგი. კობი ბრაიანტმა ვერ იძმაკაცა ბოლომდე შაკთან და ახალი სუპერმენი უნდა. ახალი სუპერმენი დუაიტ ჰოვარდია. უბრალოდ, კალიფორნიაში ჯერ დოლარებს ითვლიან.

ჰოვარდმა დაატვიტერა, რომ ამ ეტაპზე "ლეიკერსის" ვარიანტი ყველაზე სექსუალურია და ამ ვარიანტზე რეალურად ფიქრობს. დუაიტი კობი ბრაიანტთან მირბის და თუ ამ პროცესში მესამე გუნდიც ჩაერთვება, დიდი ბიჭი წინააღმდეგი არ იქნება. ჰოვარდი და "ლეიკერსის" ბოსები ორი კვირის წინ ოთხწლიან კონტრაქტზე შეთანხმდნენ და თუ დუაიტი ხელშეკრულებაზე ავტოგრაფს დატოვებს, 117 მილიონ დოლარს წამოიღებს. სერიოზული კუშია. დუაიტიც სერიოზული ბიჭია და კალიფორნიაში ახალ დინასტიაზე ჩალიჩობენ. დინასტია, რომელიც "ლეიკერსში" შაკის ნასვლის შემდეგ დაიშალა. ენდრიუ ბაინუმი და პო გასოლი ისე ვერ ქაჩავენ, როგორც უნდა გაქაჩონ. ბაინუმი "ლეიკერსში" ჰოვარდს ადგილს უთმობს. თან არც უნდა, რომ დაუთმოს და ბოსები ჰოვარდის წამოყვანის სხვა ვარიანტს ვერ ხედავენ. ბოსები ელ-ეიშიც ბოსები არიან. თან, ჰოვარდი კობის მოეწონა. სერიოზულია.

ბოლო რეგულარულში დუაიტი კარგი და სტანდარტული იყო. ჰოვარდის 20.6 ქულა ჰოვარდისთვის ჩვეულებრივი თემაა. ჰოვარდის 14.5 მოხსნა რეალურად მკვლელი თემაა. დუაიტის თითქმის ორი პასიც წავა და ბიჭმა დაცვაში ისევ ბევრი პერსონა დალეწა, დაშალა, სისხლის ზღვაში ბევრი ბალასტი დატოვა. ჰოვარდი სამწამიანის ასასინი, მარვი, ლეონიდეა.

დუაიტის CV ამბობს, რომ ჰოვარდი სამჯერ (2009-11) რეგულარულის საუკეთესო დამცველი იყო. იქვე წერია: ექვსგზის (2007-12) ოლსთარელი, ხუთგზის (2008-12) ლიგის პირველი ხუთეულის ცენტრი, ოთხგზის (2009-12) დამცველების პირველი ხუთეულის ცენტრი. ჰოვარდი წინა ოლიმპიადაზე გაერთო და კოლექციაში ოლიმპიური ბონუსიც ჩაუშვა. დუაიტი ნორმალურად რეპავს, იშვიათად უსმენს ინტელექტუალურ მუსიკას და იშვიათად თამაშობს ინტელექტუალურ კალათბურთს. ჰოვარდი რეალური ტერორისტია. ბიჭი "ლეიკერსში" ამ გენერაციის ქარიმი, შაკი, ბილ უოლტონი იქნება. ბრაიანტთან ერთად გაიხსნება ბევრი დერეფანი. ბრაიანტთან ერთად ჰოვარდზე ნაკლები სხეული ავა და "ლეიკერსი" დასავლეთის ტერმინატორი იქნება. უფრო მოქნილი, ვიდრე "სან ანტონიო" და ტიმ დანკანი. უფრო ძნელად გასაშიფრი, ვიდრე დირკ ნოვიცკი და "დალასი". უფრო ალესილი, ვიდრე კევინ დიურანის, ჯეიმს ჰარდენის, რასელ უესთბრუქის და სერვანტესის ასპროცენტიანი შთამომავლის, სერჟ იბაკას "ოკლაჰომა". ჰოვარდთან ერთად "ლეიკერსმა" ყველა უნდა დაშალოს და ეს რეალურია. თუ საკონტრაქტო ამბები ჭორაობის შემდეგ ეტაპზე გადავა და უახლოეს დღეებში დუაიტი ჯეკ ნიკოლსონის იახტაზე რვაფეხების ბორშს მიირთმევს. იახტაზე კრისტინა აგილერა კოქტეილებს მიხედავს, მიკი რურკი იცელქებს და შონ პენი ჰარვი მილქის ინტერპრეტაციას გააკეთებს. ბოლომდეც არ გააკეთებს. მაგარია.

ჰოვარდის ამბებს "კლივლენდის" ინტერესიც ეხმარება. თუ "ორლანდოსა" და "ლეიკერსის" მეგობრობაში მესამე გუნდიც მიიღებს მონაწილეობას, კალიფორნიაში წავა დუაიტი. ენდრიუ ბაინუმი "კავალიერსის" პრობლემებს მოაგვარებს და "ორლანდოში" ბრაზილიელი პივოტი, ანდერსონ ვარეჟაო წაუსამბებს. "მეჯიქი" შემდეგი ორი დრაფტის პირველ წრეში ორი მოთამაშის არჩევის უფლებასაც მიიღებს. "ორლანდოში" ეს ვარიანტი შესაძლებელიაო, - თქვეს. "კლივლენდი" ბაინუმში მომავალს ხედავს და კობი ჰოვარდს დღეში 69 ტექსტურ შეტყობინებას უგზავნის. ან ჩამოდი, ან ნუ დაგვღალე, სიტუაცია გაარკვიე და მერე აღვნიშნოთო, წერია მისტერ კობის ბოლო მესიჯში. საინტერესო შეთავაზებაა. თითქმის ისეთი, როგორც მარიო პიუზოს ერთ მაფიოზურ ტრილოგიაში. იტალიელი დონი აქ კობი ბრაიანტია. ბაინუმი "კლივლენდში" კარიერის გაგრძელებაზე უარს არ ამბობს. მშვენიერი ვარიანტია. ამ ეტაპზე ენდრიუს აგენტები კლივლენდში არიან, ხელშეკრულების დეტალებზე მუშაობენ. როგორც კი პროცესი დამთავრდება, ჰოვარდი კალიფორნიის ვიზას მიიღებს და გაერთობა. მაგარი ამბები მერე დაიწყება. პო გასოლი ამ ეტაპზე "ლეიკერსშია". ესპანელი პროფესორია და თუ დუაიტის პრობლემა მოგვარდება, გასოლი და ჰოვარდი სამწამიანში ყველაფერს მოხსნიან. თითქმის ყველაფერს. "ლეიკერსის" ბოსებმა გასოლის სტატისტიკა (17.4 ქულა, 10.4 მოხსნა, 3.7 პასი, 1.4 დაფარება) მოიწონეს. ესპანელი მშვიდად ემზადება ლონდონის ოლიმპიადისთვის, სადაც ესპანეთი კობის ძმაკაცების ერთადერთი კონკურენტი იქნება. ამბობენ, რომ იქნება და ამერიკამ ესპანეთიც ყურებით უნდა დაკიდოს.

ჰოვარდი ოლიმპიადაზე გამოირიცხა და დუაიტის მერე ამერიკამ ბაინუმიც დაკარგა. ბიჭი დაღლილია და უნდა დაისვენოს. ჰოვარდიც დაღლილია. ჭორაობით, კვნესით და დოლარებზე ფიქრით დიტმა ამ დღეებში ახალი "მაზერატი" დაირტყა. ისეთი, რომელშიც ეტევა. გაერთობა, ჰაივეიზე ბოლომდე გაიქცევა და მერე ახალი ტექსტური შეტყობინება მიუვა. იქ ეწერება - პრობლემები მოგვარებულია, ბაინუმმა გასახდელში ერთი დიდი კარადა დაგიტოვა და გელოდებით, თან ფორთოხლის წვენი და ფუნთუშები წამოიღე, კონტრაქტი დავასვეოთ. მესიჯი კობი ბრაინტისგან. საინტერესო მესიჯი საინტერესო ბიჭს.

"ლეიკერსმა" ვერ წამოიყვანა 40 წლის გრანტ ჰილი. ფორვარდი იქვე, ლოს ანჯელესში დარჩა და, კრის პოლთან ერთად, "კლიპერსის" წითელ ფრენჩაიზში ირბენს. "კლიპერსი" შარშან გამოფხიზლდა, ფლეი-ოფში შევიდა და იქ ერთი წრე გაიარა. კრის პოლის ბენდმა "მემფისი" გააჩერა. პოლი და ბლეიქ გრიფინი "სან ანტონიომ" გაშიფრა. გრეგ პოპოვიჩი კალათბურთის ყველაზე სერიოზული რენტგენია. ჰილიც სერიოზული ვარიანტი იყო. კარგი გრანტი "კლიპერსმა" მიიღო და ახალ სეზონში გუნდი დასავლეთის მოგებას გეგმავს. თითქმის რეალურია. თუ დეანდრე ჯორდანი კალათბურთის თამაშსაც დაამუღამებს, უფრო რეალური იქნება. "კლიპერსში" კრის პოლის ინტელექტი ბოლო დონეზე გავიდა და განტოლებებს ხსნის. პოლმა ვოკალური დახმარება მიიღო. გრანტ ჰილი იქ სიტუაციას დაალაგებს. "ლეიკერსმა" უკვე აიყვანა სტივ ნეში და კანადელი ბევრ რაღაცას დაალაგებს, კობის დაასვენებს. "ლეიკერსი" მეჯიქის, ქარიმის, უორთის, კუპერის და სკოტის იხსენებს. თუ გაიხსენებს, რეალურად წამოიღებს. ის გუნდი არარეალურად კარგი იყო.

"ლეიკერსმა" სხვა ვარიანტები უნდა გაშანსოს. ჯეკ ნიკოლსონის უბანში დუაიტ ჰოვარდი უნდა მივიდეს. დიდი ბიჭი უკვე დაღლამდე წუწუნებს და დიდ კუშს ითხოვს. "ბრუკლინში" მოსალოდნელი კონტრაქტი არ მოსულა - მიხაილ პროხოროვმა ბრუქ ლოპესი დაიტოვა და "ნეთსის" ბანკში ფული არ არის, მხოლოდ წითელი ხიზილალა დარჩა. დუაიტს ხიზილალით ვერ მოისყიდი, მისტერ ჰოვარდს დოლარების კოქტეილი ურჩევნია. ამ კოქტეილს ელ-ეიში ერთი მაგარი ბარმენი ამზადებს და იმ ბარმენმა ჰოვარდს კიდევ ერთი კონტრაქტი გაუგზავნა. დუაიტი და "ლეიკერსი" კარგი ვარიანტია. დუაიტისა და "ლეიკერსისთვის" კარგი. კობი ბრაიანტმა ვერ იძმაკაცა ბოლომდე შაკთან და ახალი სუპერმენი უნდა. ახალი სუპერმენი დუაიტ ჰოვარდია. უბრალოდ, კალიფორნიაში ჯერ დოლარებს ითვლიან. დროზე უნდა დაითვალონ. ან ჰოვარდი გადაიფიქრებს.

"დენვერმა" მაკგი დაიტოვა

ჯავეილ მაკგი "დენვერში" დარჩა. ალბათ, უნდა დარჩენილიყო. ალბათ, მაკგი "დენვერსაც" უნდა დაეტოვებინა. ალბათ, ორივე მხარემ ჯეკპოტი მოხსნა. ჯავეილი "ნაგეტსის" ჯეკპოტია. მაკგიმ ნორმალური პირობები მიიღო. დაუზუსტებელი ინფორმაციით, "დენვერმა" მაღალ ბიჭს ოთხწლიანი კონტრაქტი გაუგზავნა და ჯავეილი ამ დროში 44 მილიონ დოლარს მიიღებს. "დენვერმა" ბიჭი შარშან აიყვანა და მაკგიმ რეგულარულის 20 გარჩევაში 10.5 ქულა, 5.8 მოხსნა და 1.6 დაფარება აკრიფა. ფლეი-ოფის ეს სტატისტიკა ცოტა შეიცვალა - "დენვერი" "ლეიკერსზე" გავიდა და ჯავეილმა პო გასოლისა და ენდრიუ ბაინუმის მსუყე წყვილთან 8.6 ქულა, 9.6 მოხსნა და 3.1 დაფარება დატოვა. ჯავეილი დაცვაში დიკემბე მუტომბო იყო.

მაკგის პირველი სეზონი, 2008-09, "ვაშინგტონში" - 6.5 ქულა, 3.9 მოხსნა, 1.0 დაფარება. მთელი ეს სტატისტიკა ბიჭმა 15.2 წუთში მოასწრო. ჯავეილი ნორმალური და აზრზე მოსაყვანი იყო. "ვაშინგტონმა" სამწამიანის სტაბილური და ცოტა მოძველებიჭო დამცველი მიიღო. მარიხუანა, ჰაშიში, ცეცხლსასროლი იარაღი - ჯავეილს ეს უყვარდა. აღარ უყვარს.

2009-10 - მეტ წუთში (16.1) ოდნავ ნაკლები (6.4) ქულა, 4.0 მოხსნა და 1.7 დაფარება წამოვიდა. კიდევ ერთი რეგულარული "ვაშინგტონში". დედაქალაქში მაკგი არ ახსოვთ. იქ ბარაკ ობამას შეცდომები და ალექსანდრ ოვეჩკინის ჩამტვრეული კბილები უფრო კარგი გასაჭორია. ჯავეილი მოიცდის. ჯავეილმა უნდა მოიცადოს. ბიჭმა სროლების 50.8 პროცენტი გამოიყენა. საჯარიმოების - 63.8 %. წავა. ფლეი-ოფი ჯერ არარეალურია. მაკგი იზრდება.

2010-11 - 79 გარჩევა. კარიერის რეკორდი. 75 თამაში სასტარტოში. კარიერის კიდევ ერთი რეკორდი. 10.1 ქულა. იმ მომენტში კარიერის რეკორდი. 8.0 ქულა. იმ მომენტში კარიერის მეოთხე რეკორდი და პროცესში ბიჭი 2.4 დაფარებასაც იღებს. რამდენიმე თამაშში მაკგიმ ტიმ დანკანი, კევინ გარნეტი, დუაიტ ჰოვარდი გააშავა, თამაშის ხალისი წაართვა. ჯავეილი პირველ გვერდზე გამოაქვთ. "ვაშინგტონში" კალათბურთიც აქტუალურია. ამერიკის ბევრი შტატის პრეზიდენტთან და რუს კრიმინალთან, ოვისთან ერთად. მაკგიმ ერთ-ერთ საღამოზე ალექსანდრი გაიცნო და ბიჭებმა კეპები გაცვალეს. ვაშინგტონი ბედნიერია. იმ საღამოს ბარაკ ობამამ ბრიუს უილისთან ერთად შეუბერა და ერთ კაფეში საინტერესო სეშენი წავიდა.

2011-12, "ვაშინგტონში" - 41 თამაში, 40 - სასტარტოში. 11.9 ქულა, ძალიან ბევრი სლემი, 8.8 მოხსნა, 2.5 დაფარება. კარგი ბიჭი კარგი სტატისტიკით. ჯავეილმა მეორე იარუსზე სიარული ისწავლა და კვირის ჰაილაითებში ზის. მაკგი მოდის, გაიწიეთ, - წერენ ამერიკელი უსაქმურები. ჯავეილიც უსაქმურია. არ აზღვევს არავის სამწამიანში, პირადი სტატისტიკის გაუმჯობესებაზე ზრუნავს. ჯავეილში "ვაშინგტონმა" ნენე მიიღო. სერიოზული რისკი და უფრო სერიოზული როქი. ცენტრი კოლორადოში წავიდა. ახალი ერა ახალი მაკგისთვის.

2011-12, "დენვერში" - მანამდე გავიარეთ. კარგი და საინტერესო სეზონი ახალ "დენვერში".

დღეს "დენვერში" საინტერესო ხალხია. ფლეი-ოფი ადგილზეა. "ნაგეთსმა" ცოტა მეტზე უნდა იჩალიჩოს და ცოტა მეტს ცოტა მეტით გააკეთებს. ახალ "ნაგეთსში" კარგი ბიჭები დარბიან.

პატარები - არონ აფლალო, კორი ბრიუერი, უილსონ ჩენდლერი, ივან ფურნიე, ტაი ლოუსონი, ანდრე მილერი.

ფორვარდები - კენეტ ფარიდი, დანილო გალინარი, ჯორდან ჰამილტონი, ალ ჰარინგტონი.

ცენტრები - ჯავეილ მაკგი, ტიმოფეი მოზგოვი, კოსტა კუფოსი. მაგარი გუნდია. მთავარი მწვრთნელი ისევ ჯორჯ კარლი იქნება.

ტიმ დანკანის, ტომი პარკერისა და პოპოვიჩ-ჯინობილის "სან ანტონიო" გახუნებული ბანდაა. "ლეიეკრსმა" უნდა აკრიფოს და თუ იქ დუაიტ ჰოვარდი წავა, "დენვერი" უშანსოდ რჩება. "ოკლაჰომას" დასავლეთი არ ახსოვს. აღმოსავლეთზე, ლებრონზე, უეიდსა და პატ რაილის ბრიოლინზე ფიქრობს. "ოკლაჰომამ" უნდა მოუმატოს და "დენვერი" ჯერ იმ დონეზე ვერ არის. დანარჩენებთან ჯავეილ მაკგის გუნდს კარგი შანსი აქვს. ყველასთან. კრის პოლის "კლიპერსთან" და ზაკ რენდოლფის "მემფისთან". დასავლეთში დიდი ამბები იქნება.

"მეტალურგი" კლასთან შერცხვა, "დილამ" გამოანათა

"პლზენი" ჰორვატის გოლს ზეიმობს

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი.

"მეტალურგი" (რუსთავი) - "პლზენი" (პლზენი, ჩეხეთი) 1:3
გოლები: 0:1 ჰორვატი (14), 1:1 ტატანაშვილი (29), 1:2 კოლარი (32), 1:3 ჰორვატი (59)
"ორჰუსი" (დანია) - "დილა" (გორი) 1:2
გოლები: 1:0 ვიდშერი (3), 1:1 ვანაძე (34), 1:2 ალადაშვილი (84)

პირველი გვერდიდან

პირველი ტაიმის შემხედვარე აშკარა იყო, რომ რუსთაველები ვერაფერს მოუხერხებდნენ მეტოქეს. აშკარა იყო კლასში სხვაობა - "პლზენი" პროფესიონალთა გუნდი იყო, "მეტალურგი" მოყვარულთა კრებულს გავდა. ეს ყველაფერი მეორე ნახევარში დადასტურდა.

ჟორჟიკაშვილმა მიუხედავად ცვლილებებისა გუნდის თამაშში ვერაფერი შეცვალა. ჩეხები კი კვლავ აუღელვებლად, მშვიდად განაგრძობდნენ ბურთის კონტროლს. ძალიან იოლად შედიოდნენ მეტოქის საჯარიმოში და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. მესამე გოლი დროის ამბავი იყო და 59-ე წუთზე ისიც ვიხილეთ - პაველ ჰორვატმა დაახლოებით 30 მეტრიდან მძლავრად და რაც მთავარია უზუსტესად დაარტყა.

დარჩენილ დროში ჩეხთა მიერ შექმნილი მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მოკლედ ვთქვათ, რომ "მეტალურგი" გაცილებით დიდი ანგარიშით შეიძლებოდა დამარცხებულიყო, მაგრამ "პლზენმა" სტუმრად გატანილი სამი გოლიც იკმარა და, რაღა მტკიცება უნდა, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლა გაინაღდა. კი ბატონო, წინ საპასუხო მატჩია, მაგრამ ალბათ, არც თავად რუსთაველებს სჯერათ, რომ ჩეხეთში სასწაულს მოახდენენ.

"მეტალურგის" ფიასკოს შემდეგ სასიამოვნოდ გაგვაკვირვა და ქართველ გულშემატკივარს იმედი გაუცოცხლა გორის "დილამ". საქართველოს თასის მფლობელს ევროდებიუტი ძალიან წარმატებული გამოუვიდა, არადა, დანიურ "ორჰუსთან" მატჩი ჩვენებურთათვის ცუდად დაიწყო - მასპინძლებმა უკვე მესამე წუთზე მოახერხეს ანგარიში გახსნა, მაგრამ "დილამ" ტოლი არაფერში დაუდო მეტოქეს და 34-ე წუთზე მათე ვაწაძემ საპასუხო გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში დანიელთა მწვრთნელმა მოედანზე "ორჰუსის" ორი ქართველი - დავით დევდარიანი და დავით სხირტლაძე შეუშვა. ამ უკანასკნელს 65-ე წუთზე მასპინძელთა დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. დარჩენილ დროში სრულ უპირატესობას გორელები ფლობდნენ და შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე კახა ალადაშვილმა სანდრო გურულის პასით "დილას" პირველ გამარჯვება მოუტანა ევროსარბიელზე.

"კახა ლაბორალმა" ნოჩიონი გაიფორმა

ზურაბ თალაკვაძე

"კახა ლაბორალი" ადრე ტაუ იყო. ტაუში ადრე ლუის სკოლა დარბოდა და ჯეკპოტებს ხსნიდა. ის ტაუ ევროლიგის ოთხთა ფინალში შედიოდა, ისვენებდა, აგებდა და ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებდა. მერე შეიცვალა სპონსორი და გუნდი "კახა ლაბორალი" გახდა. ახალი გუნდი ახალი ბოსებით და ძველი ამბიციებით. "ლაბორალმა" გუშინ კიდევ ერთი კარგი არგენტინელი გაიფორმა. ესპანელებმა ერთი სეზონით ანდრეს ნოჩიონი დაიტოვეს და ანდრესი პირობებით კმაყოფილია. ერთ სეზონში არგენტინელი სლეშერი 1.45 მილიონ ევროს მიიღებს. ნორმალური კონტრაქტი ძალიან კარგი მოთამაშისთვის. ნოჩიონი მესამე ნომერია და შარშან, ესპანეთის ჩემპიონატში, საშუალოდ 9.7 ქულას და 3.5 მოხსნას იღებდა. ანდრესი ადის მეოთხე ნომერზეც და პრობლემებს აგვარებს.

ნოჩიონი 32 წლისაა. ადრე, ტაუში, ესპანეთის ჩემპიონატის MVP გახდა (2004) და ორჯერ (2003-04) რეგულარულის მეორე ხუთეულში შევიდა. ანდრესმა კარიერა არგენტინაში, "ინდეპენდიენტეში" (1997-99) დაიწყო და პარალელურად, არგენტინის ნაკრებშიც ჩაჯდა. ნოჩიონი მიდის ტაუში (1999-2000), ერთი წლით მოდის აზრზე "მანრესაში" (2001) და ტაუში ბრუნდება. მერე წამოვიდა ამერიკული თემა - "ჩიკაგო" (2004-09), "საკრამენტო" (2009-10), "ფილადელფია" (201-12), პროცესში, რამდენიმე თვე არგენტინაში ("პენიაროლ დე მარ დელ პლატა") და წრე "კახა ლაბორალში" შეიკრა. ესპანეთში კარგი არგენტინელი დაბრუნდა.

ანდრეს ნოჩიონი: "კახა ლაბორალის" გარდა, კიდევ რამდენიმე ნორმალური შეთავაზება მქონდა. რუსეთი, საბერძნეთი, იტალია. იყო ნორმალური პირობები ერთი ამერიკული გუნდისგან. პატივს ვცემ ყველა გუნდს და დიდ მადლობას ვუხდი ჩემით დაინტერესებულ ყველა გუნდს. უბრალოდ, ამ ეტაპზე "კახა ლაბორალი" ჩემთვის საუკეთესო ვარიანტია. აქ ბევრი კარგი მოგონება მაქვს, მყავს მეგობრები და გუნდი ესპანეთის ჩემპიონობისთვის ითამაშებს. როგორც ვიცი, კიდევ ორი ძლიერი ბიჭის დამატებას ვაპირებთ. საინტერესო გუნდი იქნება. უნდა მოვუმატოთ და თუ გაგვიმართლებს, შედეგი იქნება. ახალ სეზონში ბევრის მოსწრება მინდა. შეიძლება ეს სეზონი ჩემთვის უკანასკნელი იყოს. ვამთავრებ თამაშს არგენტინის ნაკრებში. ლონდონში, მე, მანუ (ჯინობილი) და ლუისი (სკოლა) ნაკრებში უკანასკნელად ვითამაშებთ. ჩვენთვის და, ალბათ, მთელი არგენტინისთვის განსაკუთრებული ტურნირი იქნება."